


85

# უნივერსიტეტი

14 ივნისი, ხუთშაბათი, 2012 წ. №8

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან





## „გაიმარტივე ცხოვრება“ სტუდენტური ბარათით

საქართველოს პრეზიდენტი ოზურგეთში, იუსტიციის სახლში სტუდენტებს შეხვდა და მათ სტუდენტური ფასდაკლების ბარათები — „გაიმარტივე ცხოვრება“ გადასცა. მიხეილ სააკაშვილმა მათ ბარათის კონცეფცია და ის შესაძლებლობები გააცნო, რომლითაც თითოეული მათგანი მნიშვნელოვნად გაიმარტივებს ცხოვრებას. პრეზიდენტის თქმით, ბარათის მეშვეობით, სტუდენტები სხვადასხვა სახის ფასდაკლებით ისარგებლებენ სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო კომპანიებში, ტრანსპორტით მგზავრობისას (რკინიგზა, მეტრო, ავტობუსი), ინტერნეტითა და მობილური ტელეფონებით სარგებლობისას, კომპიუტერული ტექნიკის შეძენისას, კულტურულ და გასართობ (კინო, თეატრი, მუზეუმები, წიგნის მაღაზიები და სხვა) ცენტრებში, კვების ობიექტებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებში, ასევე, სხვადასხვა ტიპის სავაჭრო დაწესებულებებსა და კომპანიებში.

პროექტი პრეზიდენტის ინიციატივით ხორციელდება და ყველა ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ფასდაკლების ბარათით სარგებლობის შესაძლებლობა უკვე 2012 წლიდან აქვს. ბარათს სტუდენტები იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურებში აიღებენ.

**სტუდენტური ბარათის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებგვერდზე www.studentcard.ge**

## პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის

ახალგაზრდა მეცნიერებისთვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსი გამოცხადდა. კონკურსის მიზანია მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, მათი პროფესიული წინსვლისა და საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა.


მე-2 გვერდზე


## „სტუდენტური დღეები 2012“

5 ივნისს თბილისში, კუს ტბაზე ახალგაზრდული ფესტივალის „სტუდენტური დღეები 2012” დასკვნითი საღამო გაიმართა. დასახელდნენ სხვადასხვა ნომინაციის გამარჯვებულები, მათ შორის თსუ-დან გამოვლინდა:

ყველაზე კრეატიული ნომერი — ივანე ჯავახიშვილის სახელწიფო უნივერსიტეტის ჯგუფი „თსუ არტი”;

საუკეთესო ფოლკლორულ-ინსტრუმენტული ანსამბლი — „თსუ-გორდელა“;

სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს რჩეული — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“.





### კონკურსი ახალგაზრდობის თემატიკაზე შექმნილი საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრების გამოსავლენად

გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA) და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ცენტრალური და ადგილობრივი მედია წარმომადგენლებისთვის ახალგაზრდობის თემაზე ჟურნალისტური ნამუშევრის კონკურსი გამოაცხადეს. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს თსუ-ის გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ სთავაზობს კონკურსის პირობების შესატყვისი საგაზეთო სტატიების ბეჭდვას.


მე-2 გვერდზე




### „მაშინ ყველაზე მოდური იყო ფიზიკის სპეციალობა“

**არჩილ უგულავა:**

XI კლასში დავფიქრდი, რა უნდა მესწავლა და გადავიხარე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით. მაშინ უკვე ყველაფერს თანაბრად ვსწავლობდი და ფიზიკის არჩევანი არა საგნისადმი ინტერესმა, არამედ ერთგვარად მოდამ გაალვიძა. დაუჯერებელია ხომ? მაშინ ყველაზე მოდური იყო ფიზიკის სპეციალობა.


გვ. 12

ნინო გელაშვილი — პრივატბანკის დირექტორი ერთი დღით გვ. 4

„ჩვენ გვინდა, ყველაფერი გავიგოთ, რაც ამერიკაში ხდება!“ გვ. 5

ბრძანება გვ. 7-10


## შეხვედრებზე რეგულარულად მოდიან ის სტუდენტები, ვისაც რეალურად აინტერესებს უნივერსიტეტის მომავალი



### ინტერვიუ თსუ-ის რექტორთან ალექსანდრე კვიტაშვილთან


ნინო კაკულია


***— თქვენი შეფასებით, რა შედეგი გამოიღო თქვენმა შეხვედრებმა სტუდენტურ წრეებთან? რამდენად გასათვალისწინებელია მათი მოთხოვნები, რასაც ისინი აყენებენ და რითაც ხშირად ინტერესდებიან?***

— ჩემი კარი ღიაა ყველასთვის. სტუდენტებთან შევთანხმდით, რომ თვეში ერთხელ გაიმართება დიდი ფორმატის შეხვედრა. თუმცა, ერთერთი სტუდენტი, რომელიც ყველაზე აქტიურად ითხოვდა შეხვედრას, არ დასწრებია დისკუსიას და ბლოგების საშუალებით ცდილობს საუბარს. ამ ფორმატში პასუხს ვერ გავცემ, რადგან არც დრო მაქვს და არც ინტერესი. შეხვედრებზე რეგულარულად მოდის 30 სტუდენტი, ვისაც მართლაც აინტერესებს უნივერსიტეტის მომავალი. მათ აქვთ ძალიან კარგი ხედვა და ბევრი პრაქტიკული რჩევა, რასაც ვითვალისწინებთ. ამდენად, ინოვაციური გზით ცვლილებებზე ორიენტირებული სტუდენტები მართლაც აქტიურობენ და შეგიძლიათ თავადაც ჰკითხოთ, მათი რამდენი პროექტი დაფინანსდა და რამდენს სხვადასხვა ფორმით მხარი დავუჭირეთ. ეს პროცესი გაგრძელდება და ვისაც შეხვედრებზე დასწრების სურვილი ექნება, მზად ვართ საუბრისთვის.


მე-3 გვერდზე

# პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის



**პირველი გვერდიდან**

კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება ერთწლიანი კვლევები 10 სამეცნიერო მიმართულებით. პროექტი უნდა ითვალისწინებდეს სამეცნიერო მივლინებას შესაბამისი დარგის საზღვარგარეთის წამყვან კვლევით ცენტრებში. თითოეულ გამარჯვებულ პროექტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 12-დან 15 ათას ლარამდე დააფინანსებს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია 30 წლამდე მაგისტრს ან დოქტორანტს და 35 წლამდე დოქტორს. გრანტის მაძიებელმა საკონკურსო განაცხადი მიმდინარე წლის 12 ივლისამდე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე www.rustaveli.org.ge უნდა წარადგინოს. თითოეულ საკონკურსო პროექტს ორი დამოუკიდებელი ექსპერტი წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით შეაფასებს.

მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, აღზრდა და მათი პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა საქართველოში მეცნიერების განვითარების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული პრეზიდენტის გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის. ეს კონკურსი ჩვენი ახალგაზრდა მკვლევარების წარმატებული სამეცნიერო კარიერის ერთერთი პირველი ნაბიჯია.

# თსუ დეკანებს აირჩევს

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებს მალე არჩეული დეკანები ეყოლება. კონკურსის შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა (www.tsu.edu.ge) განთავსებული. კონკურსი 14 მაისს გამოცხადდა. უნივერსიტეტის რექტორის, ალექსანდრე კვიტაშვილის ბრძანების თანახმად, დეკანების თანამდებობების დაკავების მიზნით აკადემიური საბჭოს მიერ გასატარებელ ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად შეიქმნა შესაბამისი კომისია, რომელმაც 2012 წლის 22 ივნისამდე დეკანობის არა უმეტეს 3 კანდიდატი უნდა შეარჩიოს. ამავე ბრძანების თანახმად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების საბჭოებმა არაუგვიანეს 2012 წლის 26 ივნისისა უნდა უზრუნველყონ აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილი დეკანობის კანდიდატებიდან არა უმეტეს თითო კანდიდატის არჩევა და უნივერსიტეტის რექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენა. აღსანიშნავია, საბუთების მიღების ბოლო ვადა 11 ივნისია, თუმცა, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან სამეცნიერო ხარისხის აღიარების შემთხვევაში დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატმა არაუგვიანეს 19 ივნისამდე უნდა წარმოადგინოს.

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების დეკანობის მსურველთა განცხადებების მიღების შემდეგ 20-21 ივნისს აკადემიურ საბჭოსთან გასაუბრება წარიმართება, რის შემდეგაც ფაკულტეტებზე დეკანებს აირჩევენ.

მასალა მოამზადა
**შურთხია ბეროშვილმა**

# დეკანის მოვალეობის შემსრულებლები



*რამაზ ბოჭორიშვილი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი*



*აკაკი ხელაძე
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი*

# კ ო ნ კ უ რ ს ი 2012

# კონკურსი ახალგაზრდობის თემატიკაზე შექმნილი საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრების გამოსავლენად

**პირველი გვერდიდან**

ამ მიზნით გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციაში გამოსაცემად მომზადდება სპეციალური ჩანართი — „კონკურსი 2012“, რომელშიც ახალგაზრდობის თემატიკაზე დაწერილი და რედაქციისთვის მოწოდებული სტატიები განთავსდება. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზ. №11ა თსუ-ის მე-3 კორპუსი, მე-3 სართული, გაზეთის რედაქცია. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
2 22 36 62; 5 77 52 77 73;

## კონკურსის პირობები

კონკურსზე წარმოსადგენი მასალების თემატიკა უკავშირდება იმ ოთხ ძირითად მიმართულებას, რომელიც განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით:

1. მონაწილეობა: სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები, ახალგაზრდების მიერ მომზადებული პროექტები, მოხალისეობა, კულტურა, შემოქმედებითი საქმიანობა და დასვენება;
2. განათლება, დასაქმება და მობილობა: განათლების სფეროში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობები: დასაქმება, სტუდენტთა მობილობა, ეკონომიკური შესაძლებლობები და ცხოვრების პირობები რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის;
3. ჯანმრთელობა: ჯანსაღი ცხოვრების წესი, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, მენტალური ჯანმრთელობა; ინფორმირებულობა და დაავადებათა პრევენცია;
4. სპეციალური დახმარება და დაცვა: სოციალური დაცვა, დახმარება და უფლებები, ძალადობისა და დისკრიმინაციის პრევენცია.

გამარჯვებულები შერჩეულნი იქნებიან საკითხის აქტუალობისა და შესაბამისობის, საკითხისადმი საინტერესო მიდგომის და ახალგაზრდობის თემატიკაზე მასალის გამოქვეყნების ინტენსივობის მიხედვით.

- გამოვლინდება სამ-სამი გამარჯვებული შემდეგ ნომინაციებში:
  1. საუკეთესო სატელევიზიო რეპორტაჟისათვის/გადაცემისათვის;
  2. საუკეთესო რადიო რეპორტაჟისათვის/გადაცემისათვის;
  3. საუკეთესო საგაზეთო ან საჟურნალო სტატიისათვის.

- **გამარჯვებულებს გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები და სპეციალური დიპლომები.**

გაეროს მოსახლეობის ფონდისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპეციალური პრიზი გადაეცემა ახალგაზრდობის საუკეთესო მედია-პარტნიორის ნომინაციაში გამარჯვებულ მასობრივი ინფორმაციის ერთ საშუალებას, რომელიც შეირჩევა 2012 წელს ახალგაზრდობის თემატიკაზე გამოქვეყნებული მასალების ინტენსივობისა და ხარისხის მიხედვით.

- **კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა მოქმედ ჟურნალისტს, რომელიც დაინტერესებულია ახალგაზრდებისათვის აქტუალური საკითხებით;**

საკონკურსოდ წარმოდგენილი პუბლიკაცია, სატელევიზიო თუ რადიო რეპორტაჟი გამოქვეყნებული ან გადაცემული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (სატელევიზიო მაუწყებელი, რადიო, გაზეთი, ჟურნალი) მხოლოდ 2012 წლის 1 მაისიდან 15 ნოემბრამდე პერიოდში.

სტატიის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 1000 სიტყვისა, რადიო და ტელე გადაცემის/სიუჟეტის ქრონომეტრაჟი — არანაკლებ 3 წუთისა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა გაზეთის/ჟურნალის ბეჭდურ ვერსიასთან ერთად უნდა მოგვაწოდონ გამოქვეყნებული სტატიის ელექტრონული ვარიანტიც.

გაშუქებული/გამოქვეყნებული, აუდიო და ვიდეო მასალის ელექტრონული ვერსიები უნდა წარედგინოს გაეროს მოსახლეობის ფონდის ოფისს 2012 წლის 15 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე. წარმოდგენილი მასალების ასლებს თან უნდა ახლდეს ჟურნალისტის საკონტაქტო მონაცემები (სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ასლი, სამუშაო ადგილი, სახლის, სამსახურის და მობილური ტელეფონის ნომრები, ელ-ფოსტის მისამართი).

- **ჟიური შერჩევისას პრიორიტეტს მიანიჭებს მასალებს, რომლებიც ემსახურება:**

ახალგაზრდების უფლებების პოპულარიზაციას საზოგადოებაში;

ახალგაზრდების უფლებებისა და პრობლემების მნიშვნელობის უკეთ გაშუქებას და დანერგვას;

წამოჭრის დიალოგს საზოგადოებაში ახალგაზრდების უფლებების შესახებ;

გააშუქებს ახალგაზრდების ინტერესებსა და პროგრამებს.

ემსახურება ჟურნალისტების პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესებას ახალგაზრდების საკითხებში.

სხვა ზოგადი კრიტერიუმებია: პრობლემის აქტუალობა, წერის, გადმოცემის მანერა, საზოგადოებრივი სარგებელი, ჟურნალისტური ეთიკური ნორმების დაცვა, ორიგინალურობა და სიახლე, შემოქმედებითი მიდგომა.

- **გამარჯვებულები გამოვლინდებიან/დაჯილდოვდებიან 2012 წლის დეკემბერში. მასალების მიღება იწარმოებს ამა წლის 15 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე.**

# გია ნოდია „სადისკუსიო კლუბში“

**ნატო ოზოლაძე**



თსუ-ის სადისკუსიო კლუბში გამართულ მორიგ შეხვედრაზე დემოკრატიისა და საქართველოში დემოკრატიის განვითარების პერსპექტივების შესახებ იმსჯელეს. თუ რა ვითარებაა ქვეყანაში, რომელიც საბჭოთა ოკუპაციიდან გათავისუფლების სულ რაღაც 20 წელიწადს ითვლის და რა პრობლემებია მოსაგვარებელი ჯანსაღი დემოკრატიული გარემოს შესაქმნელად, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა მოწვეულ სტუმართან — გია ნოდიასთან ერთად განიხილეს. როგორც ,,სადისკუსიო კლუბის" წევრი ახალგაზრდები აცხადებენ, ასეთი სახის შეხვედრები ქართული დემოკრატიის მშენებლობისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

„ჩვენი მიზანია — საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის. ასეთი სახის შეხვედრები სტუდენტებში, ერთი მხრივ, განათლების გაღრმავებას უწყობს ხელს, მეორე მხრივ, დემოკრატიული თვისებების გამომუშავებას, რაც განსხვავებული აზრის მშვიდად მოსმენასა და პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში გამოიხატება. ეს კიდევ ერთი დადებული აგურია ქართული დემოკრატიის შექმნის პროცესში“, — აღნიშნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა გიორგი ხატიაშვილმა.

„მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის“ გამგეობის წევრმა გია ნოდიამ სახელმწიფოს დემოკრატიული მართვისა და საზოგადოების როლის შესახებ ისაუბრა, რის შემდეგაც შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატით წარიმართა.

„კმაყოფილი ვარ სტუდენტებთან შეხვედრით. საინტერესო იყო თავად თემატიკა და მათ მიერ დასმული შეკითხვები. საზოგადოებაში ყოველგვარი ინოვაციის საწყისი სტუდენტობაა. უნივერსიტეტებიდან ახალი სისხლი მოდის და, ამიტომ, ჩემი აზრით, ასეთი შეხვედრები ხშირად უნდა ტარდებოდეს სხვადასხვა თემატიკასა და საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან“, — განაცხადა გია ნოდიამ.

„მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის“ გამგეობის წევრი გია ნოდია თსუ-ის „სადისკუსიო კლუბს" 3 ივნისს ესტუმრა.

# შეხვედრებზე რეგულარულად მოდიან ის სტუდენტები, ვისაც რეალურად აინტერესებს უნივერსიტეტის მომავალი

პირველი გვერდიდან

თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ შეხვედრებს ერთი და იგივე ჯგუფი ესწრება.

— ***სასწავლო ლიტერატურის თარგმნის პროცესის დასაწყებად თქვენს ბრძანებას ბევრი სტუდენტი მიესალმება, თუმცა დაისვა კითხვა — შეძლებენ თუ არა წახალისების გარეშე ლექტორები ხარისხიანად თარგმნას, რაც მათ ამ ბრძანებით ევალებათ? როგორია თქვენი ხედვა ამ საკითხთან მიმართებაში?***

— ეს პროცესი ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო და არც შეჩერებულა. ბრძანებაში ნათქვამია, რომ პროგრამაში მითითებული ნებისმიერი ლიტერატურა, ელექტრონული ან ნაბეჭდი სახით, სტუდენტისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. თუ ლიტერატურა არ არსებობს ქართულად ან თარგმნის პროცესშია, მაშინ უმჯობესია არ მიეთითოს. ლექტორის მოვალეობაა სტუდენტს გასაგებ ენაზე, გასაგები ფორმით ასწავლოს, ისევე, როგორც ჩაატაროს კვლევა და ლექცია. წახალისება სჭირდება იმ ხალხს, ვისაც საჭიროების შემთხვევაში დამატებით დავიქირავებთ სათარგმნელად.

— ***რამდენად შესაძლებელია საუნივერსიტეტო ფონდიდან გამოიყოს თანხა თსუ-ის სოციოლოგთა პროექტების დასაფინანსებლად კვლევების წარმოების ხელშეწყობისთვის? თუ არის შესაძლებელი ჩვენივე რესურსები გამოვიყენოთ კვლევების ჩასატარებლად? ვგულისხმობ, სოციოლოგიის მიმართულების სპეციალისტთა ჩართულობას...***

— არის კვლევები, რომელშიც აუცილებელია თსუ-ის სოციოლოგების ჩართვა და არის კვლევები, რომლის ჩასატარებლადაც ამ რესურსის გამოყენება არ არის სასურველი. როდესაც კვლევა ეხება უნივერსიტეტს, კვლევის ჩატარების პროცესში უნდა მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რათა კვლევის ხარისხი იყოს მაღალი. სხვა შემთხვევაში საკუთარი სოციოლოგების ჩაბმა ნამდვილად არ წარმოადგენს პრობლემას.

— ***თუ არის შესაძლებელი, რომ სოციოლოგიის მიმართულების სპეციალისტთა რაიმე პროექტი უნივერსიტეტმა დააფინანსოს?***

— თუ წარმოგვიდგენენ პროექტს, დიდი სიამოვნებით განვიხილავთ.

— ***როგორ შეხვდა თსუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან წამოსულ ინიციატივას იმასთან დაკავშირებით, რომ სტატუსშეჩერებული სტუდენტების საქმეს, უახლოეს მომავალში, ცალკეული უნივერსიტეტების ხელმძღვანელობა განიხილავს. რას ფიქრობთ ამ ინიციატივაზე და რამდენად მოუწევს მუშაობა უნივერსიტეტს განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისთვის გარკვეული ღონისძიებების გასატარებლად?***

— სტატუსშეჩერებული სტუდენტების საკითხს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აუცილებლად განიხილავს. ამასთან, განათლების და მეცნიერების მინისტრის ახალი ინიციატივა თითოეულ სტუდენტს საშუალებას აძლევს — გაიუმჯობესოს სწავლის პირობები.

ინიციატივა გულისხმობს, რომ თუ ადამიანმა ჩააბარა ეროვნული გამოცდა და ვერ მიიღო სახელმწიფო გრანტი, კარგად სწავლის შემთხვევაში მიეცემა სახელმწიფო დაფინანსების მიღების შანსი. ასეთ სტუდენტს შეეძლება თავიდან გავიდეს გამოცდაზე, რომელიც უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის დონეს განსაზღვრავს. მაღალი ქულების მქონე სტუდენტებს მიეცემათ სახელმწიფო გრანტი. დღეისთვის უნივერსიტეტში უკვე არსებობს საგრანტო პროგრამა, რომელიც მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს მომდევნო სასწავლო წლის დაფინანსების საშუალებას აძლევს. ეს წესი ყველა ფაკულტეტზე მოქმედებს. ამ ეტაპზე კი საუბარია ამ კატეგორიის სტუდენტების რაოდენობის გაზრდაზე, რომელთა დაფინანსებაზეც სახელმწიფო დამატებით სახსრებს გამოყოფს.

გარდა ამ ინიციატივისა, სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრ სტუდენტებს თსუ სთავაზობს თანხის გადახდის ინდივიდუალურ გრაფიკს. ამ კატეგორიის სტუდენტებისთვის ასევე მოქმედებს მერიისა და განათლების და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური პროგრამები.

— ***მხოლოდ სტუდენტების თემატიკას რომ არ შევეხოთ, საინტერესოა — გამოიწვია თუ არა რაიმე ძვრები თსუ-ის სტატუსის ცვლილებამ და რა პროცესები დაიწყო, რასაც თსუ-ის ხელმძღვანელობა უკვე დამოუკიდებლად წყვეტს?***

— უნივერსიტეტში ამჟამად მიმდინარეობს ქონების გადმოცემის პროცესი და, ზოგადად, ამ ქონების მართვის გამარტივების კუთხით ბევრი რამ კეთდება. ეს პროცესი მალე დასრულდება. უნივერსიტეტს ექნება თავისუფალი სახსრები. თსუ-ის განვითარების ფონდი მიმართული იქნება უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ, მათ შორის, შესაძლოა სწავლის დაფინანსების საკითხებსა და სხვადასხვა პროექტებსაც მივხედოთ.

ტექტონური პროცესები კი არის ის, რომ თავიდან ბოლომდე შევცვალეთ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსების სისტემა, შევცვალეთ დეკანების არჩევის წესი. ემერიტუსის წოდების მინიჭების საკითხზეც ახალი გადაწყვეტილება უკვე გახდა ყველასთვის ცნობილი.



# სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებელ დელეგატებთან შეხვედრა

ნატო ოზოლაძე

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებელი დელეგატები („ნარინჯისფერები“) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდნენ. ლევან ლორთქიფანიძემ, ასლან ართმელაძემ და ოთარ კობახიძემ შეხვედრაზე სტუდენტური თვითმმართველობის პირველი სხდომის შესახებ ინფორმაცია წარმოადგინეს, ისაუბრეს იმ გეგმების შესახებ, რომელთა განხორციელებასაც დამოუკიდებელი დელეგატები ერთი წლის განმავლობაში გეგმავენ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სტუდენტებმა თვითმმართველობის წევრებს თსუ-ის სტუდენტურ ცხოვრებაში არსებული პრობლემების შესახებ საკუთარი მოსაზრებებიც გააცნეს. შედეგად რამდენიმე აქტუალური საკითხი გამოიკვეთა: სტუდენტური თვითმმართველობის წესდების დეცენტრალიზება და თავისუფალი გრანტების მეთოდის დანერგვა, რაც სტუდენტური თვითმმართველობის ფინანსების 50%-ის სტუდენტების მიერ წარდგენილ პროექტებზე გადანაწილებას გულისხმობს, არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბება და უნივერსიტეტში დისციპლინარული კომისიის შექმნა.

„ჩვენი შეხვედრის მიზანი იყო, რომ სტუდენტებისგან მოგვესმინა ახალი იდეები და წინადადებები — თუ რა უნდა გაკეთდეს მომავალში თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში. ეს შეხვედრა ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში იყო „დაანონსებული“ და ვფიქრობ, მან საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა. ბევრი სტუდენტი მოვიდა, მათ შორის იყვნენ სხვა ფაკულტეტებიდანაც. რაც უფრო მეტი სტუდენტი შემოგვიერთდება, მით უკეთესად გავაკეთებთ ჩვენს საქმეს. ნათქვამია: წვეთი ქვას ხვრეტსო და ჩვენც ყველა პრობლემასა თუ ხარვეზზე უნდა განვაცხადოთ ხმამაღლა და მათი მოგვარების გზები დავსახოთ. მაგალითად, დისციპლინარული კომისიის შექმნის იდეას უკვე გამოეხმაურა თსუ-ის რექტორი და ამ საკითხის აკადემიურ საბჭოზე გატანას დაგვპირდა“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებელმა დელეგატმა ოთარ კობახიძემ.

დამოუკიდებელი დელეგატების იდეას — არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ იურიდიული ფაკულტეტისა და ტურიზმის მიმართულების სტუდენტები გამოეხმაურნენ. წინასწარი ინფორმაციით, ეს ორგანიზაცია გრანტების მოპოვებაზე არ იქნება ორიენტირებული და თსუ-ის სტუდენტებისთვის პრობლემურ საკითხებზე იმუშავებს.

„ჩვენ გვსურს არასამთავრობო ორგანიზაციის ფორმირება, რომელიც თავისი შინაარსით და ფუნქციებით დღევანდელი სტუდენტური თვითმმართველობის სრულფასოვან ალტერნატივას შექმნის. მუშაობა უახლოეს მომავალში უნდა დავიწყოთ“, — გვითხრა ლევან ლორთქიფანიძემ.

„იურიდიულ ფაკულტეტზე ვაპირებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოვაყალიბოთ. ძალიან კარგი იქნება, თუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან გავერთიანდებით და ერთობლივად ვიმუშავებთ. ვფიქრობ, ჩვენი საქმიანობა უფრო ეფექტური იქნება, თუ ახალ არასამთავრობო ორგანიზაციას არ ეყოლება ერთი ხელმძღვანელი და გადაწყვეტილებებს სპეციალური საბჭო მიიღებს, რომელშიც რამდენიმე ადამიანი გაწევრიანდება“, — აღნიშნა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა შოთა თუთბერიძემ.



▪ ანაკლიის ბანაკის შესახებ ინფორმაციის გავრცელების საკითხს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი დაჩი გუბაძე გამოეხმაურა: „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ განახორციელა პროგრამა, რაც ითვალისწინებდა უცხოელი ტრენერების ჩამოყვანას. ტრენინგები ჩატარდა ანაკლიაში მენეჯმენტის, ლიდერის უნარ-ჩვევების და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ. ამ პროგრამაში მონაწილეობას საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები იღებდნენ. შესაბამისად, თსუ-შიც სამინისტრომ გამოგზავნა მოთხოვნა, რომ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტები წარგვედგინა. სტუდენტების შერჩევა თსუ-ის რექტორმა სტუდენტურ თვითმმართველობას დაავალა, რადგან სტუდენტური თვითმმართველობა ამ საკითხში ყველაზე კომპეტენტური სტრუქტურაა. ეს არის მეოთხე მოწვევის თვითმმართველობა, რომელიც არჩეულია სტუდენტთა უმრავლესობის მიერ ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციის ხარისხით. ანაკლიაში ტრენინგების გასავლელად 400 სტუდენტი გავგზავნეთ. ჩვენ ისინი მაღალი აკადემიური მოსწრების, აქტიურობისა და ინგლისური ენის ცოდნის კრიტერიუმების მიხედვით შევარჩიეთ. თუ ვინმეს უნდოდა მონაწილეობის მიღება და ვერ მოხვდა ამ პროგრამაში, ეს ბუნებრივია, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 25 000-მდე სტუდენტი სწავლობს და ამ პროექტში მათი უმრავლესობის ჩართვა შეუძლებელი იყო“.

სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებელი დელეგატებისა და სტუდენტების შეხვედრაზე ანაკლიაში ორ დღიან ტრენინგებზე სტუდენტების გაგზავნის საკითხის შესახებაც ისაუბრეს. მათი განცხადებით, უცნობია, თუ რა კრიტერიუმებით შეირჩა ის ახალგაზრდები, რომლებმაც ანაკლიაში გამართულ ტრენინგებში მიიღეს მონაწილეობა.

„ვერ მოვახერხეთ პასუხის მიღება, თუ რა პრინციპით არჩევენ სტუდენტებს ანაკლიაში გასაგზავნად. ამიტომ უნდა შევაგროვოთ ხელმოწერები ამ პასუხის მიღების მოთხოვნით და გადავცეთ რექტორს. ვხედავ, რომ მას უნივერსიტეტისთვის ბევრი კარგის გაკეთება სურს“, — განაცხადა გიორგი გრიგოლაშვილმა.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებელი დელეგატები სტუდენტებთან შეხვედრას პერმანენტულად გეგმავენ. ასეთი სახის ღონისძიებებს ისინი, დაახლოებით, ორ კვირაში ერთხელ გამართავენ.

„სტუდენტურ თვითმმართველობაში ჩვენ უმცირესობაში ვართ და ამიტომ გვაინტერესებს ჩვენი ამომრჩეველი სტუდენტების იდეები, შეხედულებები, მოსაზრებები — თუ რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ ოთხმა სტუდენტმა იმისათვის, რომ თვითმმართველობის მუშაობაზე გარკვეული ზეგავლენა მოვახდინოთ. ეს შეხვედრები აუცილებლად გაგრძელდება. სტუდენტებთან საუბრის შედეგად უკვე ვიცით, რა მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სხვა ფაკულტეტების სტუდენტებმაც გამოთქვეს ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი და ჩვენც მზად ვართ, ერთობლივი მუშაობისთვის,“ — გვითხრა ლევან ლორთქიფანიძემ.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებელი დელეგატების პირველი შეხვედრა სტუდენტებთან 5 ივნისს გაიმართა.

# ნინო გელაშვილი — პრივატბანკის დირექტორი ერთი დღით

**თამარ დადიანი**

„ამ ქვისგან გავაკეთებ... გაზაფხულს!..“ ალბათ ყველას ახსოვს ეს კადრი ქართული კინოფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“, სადაც ახალგაზრდა მოქანდაკე გახარებულია ძვირფასი საჩუქრით, რომელიც საყვარელმა პედაგოგმა უსახსოვრა. ასევე აღფრთოვანებული იყო იმ დღეს პროექტის — „გახდი ერთი დღით პრივატბანკის დირექტორის“ გამარჯვებული, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ნინო გელაშვილი: „პრივატბანკის ფილიალს გავხსნი ლაგოდეხში, ყველაფერი გათვლილი და გააზრებული მაქვს. მართალია, ამ ერთი დღის განმავლობაში გადაწყვეტილებების მიღება არ შემიძლია, მაგრამ მაქსიმალურად შევეცდები, უფრო ღრმად გავეცნო ბანკის სტრუქტურას, მნიშვნელოვან კომპონენტებს და სამუშაო პროცესის სპეციფიკას. ისე, მართლა რომ შემეძლოს, „ჩემს ფილიალს“ აუცილებლად გავხსნიდი“.

კიდევ ბევრი საინტერესო იდეა გაჟღერდა 5 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც თსუ-სა და პრივატბანკის ერთობლივი ღონისძიება გაიმართა. 24 მაისიდან 5 ივნისამდე 7 გუნდად დაყოფილი 36 სტუდენტი სიმულაციურ ბიზნეს-თამაშში იყო ჩართული. გამოვლინდა 7 აქტიური მონაწილე და გამარჯვებული გუნდი, რომელიც 5 წევრისგან შედგებოდა. მეორე ეტაპზე 12 სტუდენტი გადავიდა, რომლებმაც ბანკის სპეციალური დავალება შეასრულეს. მესამე ეტაპზე კი 5 მონაწილე.

ფინალურ ეტაპში 7 სტუდენტი მონაწილეობდა: არჩილ მამფორია, ნინო ბჯალავა, მარიამ მათიაშვილი, მარიამ ლონდარიძე, გიორგი ელიზბარაშვილი, ნინო გელაშვილი და გიორგი ჯიბლაძე, რომელთაც კონკურსზე პრივატბანკის ახალი ფილიალის „შექმნა“ დაევალათ, მანამდე კი სხვადასხვა გუნდური თუ ინდივიდუალური დავალებები შეასრულეს.

პრივატბანკისა და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კომპეტენტური წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჟიურიმ გამარჯვებულები შემდეგი კრიტერიუმებით შეარჩია — პროექტის ავტორის იდეა, პრეზენტაციის უნარი, კარგად შერჩეული სტრუქტურა და, რაც მთავარია, ფინანსური და მარკეტინგული გათვლების სიზუსტე. ფინალის შემდეგ მონაწილემ დასახულ ამოცანას თავი წარმატებით გაართვა და ჟიურის დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

კონკურსში თსუ-ის III კურსის სტუდენტმა ნინო გელაშვილმა გაიმარჯვა, რომელიც ერთი დღე პრივატბანკის დირექტორად იმუშავებს. „კონკურსის დროს დიდი გამოცდილება მივიღე; ტრენინგებმა ბევრი რამ მომცა. გამარჯვება რთული მოსაპოვებელი აღმოჩნდა, რადგან ღირსეული კონკურენტები მყავდა. ჩემმა პროექტმა გაიმარჯვა და ბედნიერი ვარ“, — გვითხრა ნინო გელაშვილმა.

მეორე ადგილი მარიამ მათიაშვილმა დაიკავა, რომელმაც ჩუღურეთის რაიონში პრივატბანკის ფილიალის გახსნის მომგებიანობა და პერსპექტივა დაასაბუთა. III ადგილი წილად ხვდა გიორგი ჯიბლაძეს, რომელმაც ჟიურის აბაშიძის ქუჩაზე ბანკის ფილიალის გახსნის პროექტი შესთავაზა. პროექტი კარგად გააზრებული, გათვლილი და არგუმენტირებული გახლდათ.


ნინო გელაშვილი

დანარჩენი ფინალისტები, დასაქმების პერსპექტივით, სტაჟირება-ბას გაივლიან ბანკში, ხოლო სხვა მონაწილეებს პრივატბანკში ტრენინგები ჩაუტარდებათ.

პროექტის მონაწილეებს სერტიფიკატები და ფასიანი პრიზები გადაეცათ. დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ: თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, პროფესორი ნოდარ ხადური, აკაკი მიქაბერიძე, პრივატბანკის წარმომადგენლები: დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ მასურაძე, კადრების სწავლის და განვითარების წამყვანი სპეციალისტი ელენა კუტაიძე, მაკა მჟავანაძე, ელენე ძოწენიძე და სხვები.

„პროექტი საინტერესო იყო ჩვენი სტუდენტებისთვის, რადგან მას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. მათ შესაძლებლობა მიეცათ, უნივერსიტეტში შეძენილი თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გამოეყენებინათ. 7 სტუდენტი დასაქმდება პრივატბანკში, ხოლო გამარჯვებული ერთი დღით ბანკის დირექტორის მოვალეობას შეასრულებს. გამარჯვებულის გამოვლენა იოლი არ იყო. აქ წარმოდგენილი ყველა პროექტი მაღალ შეფასებას იმსახურებდა. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს პროფესორებს და მივულოცო ასეთი წარმატება. მათი ძალისხმევით, სტუდენტები თეორიულად კარგად მომზადებულნი აღმოჩნდნენ“, — განაცხადა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა აკაკი ხელაძემ.

პროექტის შედეგებზე დადებითად ისაუბრა პრივატბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ მასურაძემ და აღნიშნა, რომ სტუდენტების იდეები გამოირჩეოდა კრეატიულობით და მომზადების დონით. „სტუდენტებმა სწორედ იმ კრიტერიუმებით შეაფასეს წარმოდგენილი პროექტები, რომლითაც ჩვენ ვაფასებთ ახალი ფილიალის გახსნის შესაძლებლობებს. ყველა პრეზენტაცია ეკონომიკური გათვლებით დასაბუთებული იყო, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მსგავსი იდეის გასახორციელებლად. ჩვენი ბანკის თანამშრომლები უნდა იყვნენ ისეთები, როგორებიც ეს ახალგაზრდები არიან“.

თსუ-ის პროფესორის ნოდარ ხადურის აზრით, სამივე მხარე მოგებული დარჩა: „მოგებულია სტუდენტი, რომელიც მონაწილეობს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში და მისი თეორიული ცოდნა პრაქტიკული უნარ-ჩვევებით მყარდება. უნივერსიტეტი და პროფესურა ცოდნას აფასებს, თუ რამდენად ადეკვატურია ის იმ მოთხოვნებისა, რასაც მას შრომის ბაზარი უყენებს. ყველაზე მოგებული კი პრივატბანკი დარჩა, რომელმაც სერიოზული შემომატება მიიღო მოტივირებული სტუდენტების სახით. ისინი ძალიან კრეატიულები და კარგად მომზადებულები არიან“.

პროექტი „გახდი ერთი დღით პრივატბანკის დირექტორი“ ერთერთი ყველაზე წარმატებული და ამბიციური პროექტია, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნეს-სექტორისა და აკადემიური სექტორის თანამშრომლობას. ასევე, სტუდენტებს დასაქმების გაათმაგებულ შანსს სთავაზობს.

# ერის განუყოფელი ნაწილი საფრანგეთში





*28 მაისს თსუ-ში საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს დაარსებიდან 90 წლის იუბილე და თსუ-სა და სათვისტომოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებიდან 5 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართა.*

*სხდომას ესწრებოდნენ: თსუ რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას ოჯახის წევრები, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტი ოთარ ზურაბიშვილი, ქართველი ემიგრანტები, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები და მოწვეული სტუმრები.*

**თამარ დადიანი**

საფრანგეთში ქართველთა სათვისტომო 1922 წლიდან არსებობს. მე-20 საუკუნეში უცხოეთში ქართველთა გადინებას პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა. 1921 წლის 25 თებერვლიდან, როცა რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ქვეყანა დატოვა. პარლამენტის დადგენილება ასეთი იყო: ბრძოლა ბოლშევიკი დამპყრობლის წინააღმდეგ უცხოეთიდან უნდა გაგრძელებულიყო. მაშინ 200-მა ქართველმა თავშესაფარი საფრანგეთში ჰპოვა. საქართველოს ეროვნულ მთავრობასა და ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა სადგომი საფრანგეთი გახდა, სადაც ჩვენმა ეროვნულმა მთავრობამ 1922 წელს ლევილის შატო იყიდა და დააარსა ქართული სათვისტომო, რომელიც დღესაც არსებობს.

უცხოეთიდან სამშობლოში ვეღარ დაბრუნდნენ დიპლომატები, საელჩოების თანამშრომლები, ხელოვნების დარგის მოღვაწენი, სტუდენტები, ყველა ის ადამიანი, ვინც საზღვარი საბჭოთა რეჟიმისგან თავის დასაღწევად საიდუმლოდ გადალახა. მათ ბრძოლის განსხვავებული სტრატეგია და ტაქტიკა ჰქონდათ. შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ყველა თავისებურად ეძებდა, მაგრამ ემიგრაციის ამ მრავალფეროვან და ხშირად ურთიერთდაპირისპირებულ სპექტრს სამშობლოს დიდი სიყვარული და ერთადერთი სურვილი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა აერთიანებდა.

პოლიტიკური მოტივაციით წასულ ემიგრანტთა შთამომავლობა ფრანგულ საზოგადოებად ჩამოყალიბდა, თუმცა შეინარჩუნა თავისი სამშობლოს დიდი სიყვარული და ქართველი ერის განუყოფელ ნაწილად დარჩა. ამ პირველ ემიგრანტთა შთამომავლები საფრანგეთის ერთერთ საუკეთესო ნაწილად იქცა, რომლითაც ჩვენი ქვეყანა დღეს ამაყობს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმრობდა სწორედ ამ ოჯახების გამორჩეული ნაწილი, რომელმაც 5 წლის წინ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. თანამშრომლობა ნაყოფიერი და სამაგალითო გამოდგა. საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს წარმომადგენლები ზრუნავენ ქართველი ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებისთვის.

საზეიმო სხდომა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა გახსნა. იგი გულთბილად მიესალმა სათვისტომოს წევრებს, საინტერესო და მასშტაბური ღონისძიების ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა თსუ-ის პროფესორს ნანა გუნცაძეს და განაცხადა: „უნივერსიტეტი დღეს ბედნიერი და ამაყია ასეთი ადამიანების სტუმრობით. ქართველთა სათვისტომო იღწვოდა არა მარტო საქართველოს გათავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, არამედ აქტიურად ეხმარებოდა და ეხმარება პირველ ქართულ უნივერსიტეტს, ჰუმანიტარული ფაკულტეტის რომანული მიმართულების ფრანგული ლიტერატურის ისტორიის შემსწავლელ სტუდენტებს. სათვისტომოს პრეზიდენტის ოთარ ზურაბიშვილის ინიციატივით დაწესდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდია, რომელიც წარმატებულ სტუდენტებს ყოველწლიურად გადაეცემა. ეს ჩვენთვის დიდი პატივია და იმედი მაქვს, თანამშრომლობა საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოსთან კიდევ უფრო გაღრმავდება“.

საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს მოწვევისათვის და აღნიშნა: „ფრანგული ენის, ფრანგული ლიტერატურის ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ახალგაზრდის განვითარებაში, რათა საერთაშორისო დონის განათლება მიიღოს. განსაკუთრებულია საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს წვლილი ქართველი ახალგაზრდების განათლების საქმეში.

ენა არის დამაკავშირებელი ძალა ორ ქვეყანას, ორ კულტურას შორის. ქართველმა ემიგრანტებმა, მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა, არ დაივიწყეს მშობლიური ქვეყანა, მშობლიური ენა და ისინი დღესაც ქართველი ერის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებიან“.

პროფესორმა ნანა გუნცაძემ მოკლედ მიმოიხილა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს საქმიანობა, ისაუბრა იმ თავდადებულ მოღვაწეზე, რომლებიც მიუხედავად ტერიტორიული სიშორისა, სამშობლოს დიდი გულშემატკივრები იყვნენ.

„50-60-იან წლებში, ქართული საზოგადოების უმძიმესი სულიერი

მე-11 გვერდზე

# „ჩვენ გვინდა, ყველაფერი გავიგოთ, რაც ამერიკაში ხდება!“

*ოცი წელია, რაც საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში არაერთი საინტერესო ღონისძიება იმართება. ერთერთი გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური XIII საერთაშორისო კონფერენცია „შეერთებული შტატები და საქართველო: გუშინ, დღეს, ხვალ“, რომელიც 17-19 მაისს მიმდინარეობდა. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია.*





ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმართავს ამერიკისმცოდნეობის მიმართულების აკადემიურ და პედაგოგიურ საქმიანობას. ინსტიტუტი უკვე XIII საერთაშორისო კონფერენციას მასპინძლობდა. ინსტიტუტმა გამოსცა ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი ჟურნალის 5 ნომერი და რონალდ რეიგანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტატიების კრებული. ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს მონოგრაფიები ამერიკის ისტორიის, პოლიტიკის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის თემებზე. ინსტიტუტი სისტემატურად აწყობს ქართველი და ამერიკელი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების საჯარო ლექციებს და თემატურ მრგვალ მაგიდებს. ინსტიტუტში ეწყობა ამერიკული მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ჩვენება და მათი განხილვა. ინსტიტუტი კონსულტაციებს უწევს ქართულ მასმედიას და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, თანამშრომლობს აშშ-ის სტენფორდის, რადგერსის, ვისკონსინის და პენსილვანიის უნივერსიტეტებთან. საქართველოში შე-ერთებული შტატების საელჩოსა და ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის მხარდაჭერით შეიქმნა ამერიკის შესწავლის ცენტრები ქუთაისის, ბათუმის და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტეტში.

კონფერენციაში „შეერთებული შტატები და საქართველო: გუშინ, დღეს, ხვალ“ 220-მდე ქართველი და უცხოელი მონაწილეობდა, რაც მის მასშტაბურობასა და თემატიკის აქტუალურობაზე მიანიშნებს.

კონფერენციის გახსნის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, ამერიკის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა, საქართველოს პარლამენტის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა.

გახსნის ცერემონიალზე ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა ვასილ კაჭარავამ საქართველოში ამერიკისმცოდნეობის გან-ვითარების წარსულსა და მის პერსპექტივებზე ისაუბრა. მან მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა თსუ-ის რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს დარეჯან თვალთვაძეს, ამერიკისმცოდნეობის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს მანანა კანდელაკს.

კონფერენციის საპატიო სტუმარი იყო ცნობილის საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი და, შეიძლება ითქვას, პირველი ქართველი ამერიკანისტი, ბატონი გელა ჩარკვიანი.

კონფერენციის ფარგლებში გამართულ პლენარულ სხდომაზე მეტად საინტერესო მოხსენებით — „ქართულ-ამერიკული ურთიერთობა: დასაწყისი, თანამედროვეობა და მომავალი“, წარსდგა სამხრეთ კავკასიის პროექტის დირექტორი, საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის ხელმძღვანელი ლორენს შითსი.

კონფერენციის მონაწილეთა ინტერესი გამოიწვია პლენარულმა მოხსენებამ: „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მოკლე მიმოხილვა (ძირითადი ტენდენციები და მოვლენათა განვითარება)“, რომელიც საზოგადოებას გააცნო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა დავით აფციაურმა. მოხსენებაში აღინიშნა, რომ საქართველოსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების პირველი ეტაპი 90-იანი წლებში იღებს სათავეს და ის ხასიათდება არა ეკონომიკური თანამშრომლობით, არამედ ამერიკის მიერ საქართველოსთვის გაწეული უშუალო ჰუმანიტარული დახმარებით.

მეორე ეტაპი დაიწყო ამერიკის უშუალო დახმარებით საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სპექტრში დამკვიდრებისა და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით. ამ პერიოდში საქართველოსადმი ინტერესი გაიზარდა იმ თვალსაზრისით, რომ საქართველომ არა მარტო სატრანზიტო ფუნქციები შეითავსა, არამედ თურქეთთან და აზერბაიჯანთან ერთად გახდა სერიოზული მოთამაშე.

მეცნიერის აზრით, ამერიკა—საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის მესამე ეტაპი ვარდების რევოლუციის შემდეგ იწყება. დღეს უკვე საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და რეფორმირების ტემპი იმდენად შეუქცევადი გახდა, რომ მოხდა საერთაშორისო თანამეგობრობასთან ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივების გადახედვა, მათი კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით.

ასევე საინტერესო იყო საქართველოში IREX-ის ხელმძღვანელის უოლტერ ქრისის პლენარული მოხსენება: „IREX საქართველოში: ინდივიდებისა და ინსტიტუციების მხარდაჭერა ღია საზოგადოების ჩამოყალიბებაში“. მოხსენებაში ამ ორგანიზაციის საქართველოში მუშაობის მეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი საქმიანობა აისახა. ამ ორგანიზაციის მეშვეობით ასობით ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა ამერიკის უნივერსიტეტებში მნიშვნელოვანი ცოდნისა და გამოცდილების მიღება შეძლო.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „აშშ — საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივები“, სადაც იკამათეს ამ თანამშრომლობის ხელშემწყობ და ხელისშემშლელ მიზეზებზე. აქვე შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციებიც.

კონფერენციის ორგანიზატორმა, თსუ-ის პროფესორმა, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა ვასილ კაჭარავამ მაღალი შეფასება მისცა კონფერენციას და განაცხადა: „ჩვენ გვინდა, ყველაფერი გავიგოთ, რაც ამერიკაში ხდება. ეს ქვეყანა წარმატების სიმბოლოა არა მარტო ჩვენთვის, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვისაც. მას ბევრი ბაძავს, მაგრამ რომ მიბაძო, უნდა პროფესიულ დონეზე იცოდე, როგორ ფუნქციონირებს ამ დიადი ქვეყნის სხვადასხვა სფერო. ამიტომ კონფერენციების მუშაობაში ამერიკისმცოდნეობის ტრადიციულ თემებთან ერთად ჩავრთეთ ისეთი მიმართულებებიც, როგორიცაა ამერიკული არმიის მართვის ტექნოლოგიები, ჯანდაცვის სისტემა, სოფლის მეურნეობა, და სხვა.

მიმაჩნია, რომ ჩვენ საქართველოს ფართო საზოგადოებაში უნდა მოვახდინოთ ამერიკის შესახებ რეალური და პროფესიული ინფორმაციის პოპულარიზაცია. ეს არა მარტო ჩვენს ცხოვრებას გააუმჯობესებს, არამედ ხელს შეუწყობს ჩვენს ერებს შორის უფრო ნაყოფიერ თანამშრომლობას. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ კონფერენციაში ერთობლივად მიეღოთ მონაწილეობა სტუდენტებს, მაგისტრანტებს და პროფესორებს. ეს, ერთი მხრივ, სტუდენტებს საშუალებას მისცემს თავისი პედაგოგების მეცნიერულ კვლევებს გაეცნონ და მაღალ სამეცნიერო სტანდარტებს შეეჩვიონ. მეორე მხრივ, ეს საშუალებას იძლევა განსაკუთრებულად ნიჭიერი სტუდენტები გამოვლინდნენ. ამავე დროს, ხელს უწყობს სტუდენტებისა და პროფესორების უფრო ნაყოფიერ თანამშრომლობას“, — განაცხადა ვასილ კაჭარავამ.

ქართულ-ამერიკული ურთიერთობის შესახებ საუბრისას პროფესორმა კაჭარავამ ხაზი გაუსვა, რომ 1989 წლიდან ქართული საზოგადოების დაკვეთა იყო დასავლეთისკენ ორიენტაცია. „მოგეხსენებათ, დასავლური სამყაროს ფლაგმანი ამერიკის შეერთებული შტატებია. დასავლეთისკენ საქართველოს კურსის შეცვლა წარმოუდგენლად მოკლე დროში, უკანასკნელ 20 წელიწადში მოხდა. გასაგებია, რომ ახლა სხვა ეპოქა და სხვა დინამიკაა, მაგრამ ის, რაც დასავლეთთან დაახლოებისა და საქართველოში ორიენტაციის ცვლილების თვალსაზრისით უკანასკნელ 20 წელიწადში მოხდა, საერთაშორისო ურთიერთობაში საკმაოდ უნიკალური გამოცდილებაა.

დღეს საქართველოს და ამერიკის ინტერესები მრავალ ასპექტში ემთხვევა ერთმანეთს რეგიონში. იქნება ეს ენერგომატარებლების გატარება საქართველოს გავლით, და საერთოდ, ალტერნატიული გასასვლელი რუსეთსა და ირანს შორის, რომელიც ევროპასა და აზიას აკავშირებს ამ ქვეყნების დიქტატის გარეშე, დასავლეთის როლის ზრდა რეგიონში, დემოკრატიული სამოდელო სახელმწიფოს შექმნა, რეგიონული უსაფრთხოების საკითხები და მრავალი სხვა დიდი თუ მცირე მიზანი. ამ ურთიერთობების მნიშვნელოვანი კომპონენტია აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია, რომელიც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში მრავალ ასპექტებს არეგულირებს. მისი ცხოვრებაში გატარება სულ უფრო აქტიურად მიმდინარეობს. აღარაფერს ვამბობ ამერიკის მიერ საქართველოსთვის გაწეულ ეკონომიკურ დახმარებებზე, რომელიც 1990-იან წლებშიც ხორციელდებოდა. ამერიკა უდიდეს როლს თამაშობს საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში და ჩვენი დიდი მოკავშირეა. ამერიკამ ძალზე დიდი, ყველა კატეგორიის, ინვესტირება მოახდინა საქართველოში და ახლა მისი განვითარების ასეთ მნიშვნელოვან ეტაპზეც მის გვერდით არის“, — განაცხადა მან.

კონფერენციის მონაწილეები 15 სექციაში განაწილდნენ. ეს სექციები იყო: საშინაო პოლიტიკა, ლიტერატურა, განათლება და მეცნიერება, კულტურა, არქიტექტურა, ეკონომიკა, ჟურნალისტიკა მედიცინა, ენა, ქართველები ამერიკაში და ამერიკელები საქართველოში, აშშ - საქართველოს პოლიტიკური თანამშრომლობა, საგარეო პოლიტიკა, ქალთა და სოციალური საკითხები, მრავალკულტურული ამერიკა, კინემატოგრაფია.

თითოეულ სექციაში წარმოდგენილი იყო მაღალი დონის სამეცნიერო მოხსენებები, რომლებიც შეეხებოდა ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობის პრაქტიკულად ყველა სფეროს.

განსაკუთრებულად შთამბეჭდავი იყო ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორის პაატა იმნაძის ლექცია: „აშშ-ს წვლილი საქართველოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის გადარჩენასა და განვითარებაში“, რომელშიც აღწერილი იყო საქართველოსადმი ამერიკული დახმარების მასშტაბები და ხარისხი, რამაც ათასობით ქართველი პაციენტი გადაარჩინა.

კონფერენციას ესწრებოდნენ ამერიკაში ქართული დიასპორას წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული დისკუსიებში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტმა ელენე მეძმარიაშვილმა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სექციას ხელმძღვანელობდა, განაცხადა, რომ მეცნიერთა მიერ წარმოდგენილი მოხსენებების დიდი ნაწილი ქართული ამერიკისმცოდნეობისთვის სრულიად ახალ თემებს შეეხო. „მათგან განსაკუთრებით მინდა გამოვყო მოსკოველი ფსიქოლოგის დოქტორ ვერა ბროფმანის მოხსენება „ჰარლემის „არქიტექტურა“ განათლება და განვითარება“. ამ მოხსენების ავტორს, ამერიკელ მეცნიერებთან ერთად, აშშ-ში განხორციელებული აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი და აუდიტორიას სწორედ ერთერთი ბოლო პროექტის შედეგები გააცნო. გამოითქვა მოსაზრება, რომ, პრობლემატიკის აქტუალურობისა და საქართველოსათვის მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ვერა ბროფმანი თსუ-ში ლექციების მოკლე კურსს წაიკითხავს“, - აღნიშნა ქალბატონმა ელენემ.

როგორც ეკონომიკის სექციის ხელმძღვანელმა განაცხადა, ამ სექციაზე განსაკუთრებით გამოირჩეოდა თსუ-ის მაგისტრის გიორგი როსტიაშვილის მოხსენება „2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზები ამერიკაში“, რომელიც შინაარსიანი და მაღალ დონეზე მომზადებული კვლევა იყო.

საინტერესო საკითხებზე იმუშავა სექციამ „ქართველები ამერიკაში და ამერიკელები საქართველოში“, რომელსაც თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორმა ია იაშვილმა უხელმძღვანელა. მისი მოხსენება, „თანამედროვე შრომითი ემიგრაცია აშშ-ში და საქართველოს საემიგრაციო პოლიტიკა“, შეეხებოდა ემიგრანტთა ცხოვრების შესწავლას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მან აღნიშნა, რომ სექციაზე სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორები მონაწილეობდნენ. „ჩვენ უკვე გვყავს მომხსენებელთა ტრადიციული ჯგუფი, რომელიც ყოველ წელს ძალზე საინტერესო მოხსენებებით გამოდიან. მაგალითად, თსუ-ის მოწვეული პროფესორი რუსუდან დაუშვილი, რომელმაც წელს ტრადიციულად საინტერესო მოხსენება წარმოადგინა ამერიკაში მოღვაწე ქართველის, ვასილ დუმბაძის შესახებ. ვასილ დუმბაძის დამსახურება ძალიან დიდია ქართული სათვისტომოს წინაშე. იგი ფინანსურად ეხმარებოდა ქართველ სტუდენტებს ამერიკასა და ევროპაში.

ასევე უნდა გამოვყო თსუ-ის პროფესორის რუსუდან ნიშნიანიძის მოხსენება რომელიც შეეხებოდა ცნობილ ემიგრანტს გიორგი პაპაშვილს, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი ამერიკაში გაატარა. ქალბატონმა რუსუდანმა ისაუბრა ბესტსელერის შესახებ, რომელიც გიორგი პაპაშვილმა ამერიკაში გამოსცა. ეს გახლავთ წიგნი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რომელშიც აღწერილია ემიგრანტის მიერ დანახული ამერიკული ცხოვრება და ის, თუ როგორ შეიძლება ახდეს ამერიკული ოცნება. ამ წიგნის მიხედვით მოგვიანებით, გასული საუკუნის 50-იან წლებში ფილმიც გადაიღეს.

ეს კონფერენცია იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ, რა მოხსენებებიც აქ კეთდება, უშუალოდ ეყრდნობა მომხსენებლების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც საჯაროდ არასოდეს გამოქვეყნებულა“, - აღნიშნა ქალბატონმა ია იაშვილმა.

მან ასევე ისაუბრა თსუ-ის სტუდენტის ქეთევან ქართველიშვილის მოხსენებაზე „თბილისში ამერიკის პირველი საკონსულოს შენობის იდენტიფიკაციის საკითხი“, რომელშიც ნათქვამი იყო: დადგინდა რომ ეს შენობა მდებარეობს დღევანდელი ძველი თბილისის უბანში და მასში საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. მომავალში ამ შენობაში ალბათ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის მუზეუმი გაიხსნება.

ლიტერატურის სექციაში მაღალი დონით გამოირჩეოდა პროფესორ თემურ კობახიძის მოხსენება „ელიოტის ადრეული პოეზიის ერთი ფერწერული ასოციაციის შესახებ“.

სასიამოვნო სიურპრიზი იყო პოეტ კოტე ყუბანეიშვილის გამოსვლაც, რომელმაც საინტერესო მოხსენებასთან ერთად ამერიკელი პოეტების საკუთარი თარგმანებიც გააცნო დამსწრეებს.

კონფერენციაში 10-მდე უცხოელმა სტუმარმა მიიღო მონაწილეობა. პროფესორმა ტიმოთი ბლაუველტმა ამერიკაში კავკასიოლოგიის განვითარების შესახებ ისაუბრა. ამერიკელმა პროფესორმა ედვარდ რაუპმა 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერსპექტივებს გაუსვა ხაზი, ხოლო ამერიკელმა ჟურნალისტმა მიშელ მირანდამ ,,ამერიკული ოცნების’’ მისეული ხედვა გააცნო საზოგადოებას.

კონფერენციაზე ამერიკელ მეცნიერებთან ერთად ინდოელი პროფესორი რათან ლალ ჰანგლუც გამოვიდა, რომელმაც ,,ცივი ომის’’ წლებში აშშ-ინდოეთის თანამშრომლობა განიხილა.

კონფერენციაზე 190 მოხსენება წაიკითხეს. მათ შორის საუკეთესოები გამოქვეყნდება ჟურნალში „ამერიკის შესწავლის საკითხები“.

კონფერენციის ფარგლებში, გაიოზ კანდელაკის ინიციატივით, თბილისის საკონცერტო ორკესტრმა (ბიგ-ბენდი) კონფერენციის გახსნის დღეს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში კონცერტი გამართა. კონცერტში მონაწილეობდა ცნობილი ჯაზის მომღერალი მაია ბარათაშვილია, ასევე, ახალგაზრდა ჯეოსტარელები.

***მოამზადა მაია ტორაძემ***

# ქ რ ო ნ ი კ ა

## დებატებისა და საჯარო გამოსვლების ბანაკის ტურნირის ნახევარფინალი თსუ-ში

7 ივნისი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო გამოსვლების ბანაკის ტურნირის ნახევარფინალის თამაში გაიმართა, რომელზეც თსუ-ის დებატკლუბის სტუდენტებმა იმსაჯეს. დებატების თემა იყო „ბავშვთა უფლებების დაცვა.“ ღონისძიებაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლების მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარის, თსუ-ის დებატების კლუბის ხელმძღვანელის თინათინ ცერცვაძის განცხადებით, „მსგავსი დებატები ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის. დებატები ზოგადი განათლებისთვისაც მნიშვნელოვანია, კრიტიკულ აზროვნებასა და არგუმენტირებულ მსჯელობას ავითარებს. მას შემდეგ, რაც თსუ-ში დებატების კლუბი შეიქმნა, სტუდენტებმა მოახერხეს დაუფლებოდნენ დებატების ტექნიკას, რაც ძალიან შრომატევადია და ბევრ დროს საჭიროებს“.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა, დებატ კლუბის ერთ-ერთმა წევრმა მარიამ გაიპარაშვილმა აღნიშნა: „ძალიან მოხარული ვარ, რომ თსუ-ში გაიხსნა დებატ კლუბი და ვეუფლებით დებატების ხელოვნებას. ეს კლუბი სწორი მიმართულებით წარმართავს ჩვენს განვითარებას და მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება ისეთი უნარები განვავითარო, რომელიც ჩემს მომავალ პროფესიაშიც დამეხმარება. ძალიან დიდ გამოცდილებას მივიღებთ“.

დებატკლუბის თამაშს თსუ-ს, ბავშვთა ფედერაციის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს, თბილისის სამოქალაქო კლუბების, ფონდი International-ის წარმომადგენლები და სკოლების დირექტორებ ესწრებოდნენ.

## წიგნის პრეზენტაცია თსუ-ში — „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების, კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“



31 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა წიგნის „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების, კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“ პრეზენტაცია. პრეზენტაციას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული, წიგნის ავტორები, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, „ნაშრომი ქართული სისხლის სამართლის ისტორიაში საკმაოდ სერიოზულია და საინტერესო. წიგნში ამ მიმართულების თეორიული და პრაქტიკული საკითხებია შესული, რასაც პედაგოგიური, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.“

ნაშრომის ერთერთმა ავტორმა, თსუ-ის პროფესორმა გიორგი გორაშვილმა განაცხადა: „აღნიშნული თემატიკის წიგნი პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი კომბინირებული ნაშრომია. მასში თავმოყრილია როგორც ტერმინოლოგიური სისხლის სამართლებრივი, ასევე პროცესუალური და საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი ასპექტები. წიგნი დაიწერა მარტივი და ყველასთვის გასაგები ენით, რათა ის არაპროფესიონალისთვისაც აღქმადი ყოფილიყო“.

სამეცნიერო კვლევა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

## საერთაშორისო კონფერენცია „ეფექტური მმართველობა შავიზღვისპირა აუზის ქვეყნებში“

8 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია “ეფექტური მართველობა შავიზღვისპირა აუზის ქვეყნებში”.

კონფერენცია თსუ-ის რექტორის მოადგილემ ლევან ალექსიძემ გახსნა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ექსპერტებმა, დიპლომატიური და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ევროკავშირის და შავიზღვისპირა აუზის ქვეყნებიდან, ასევე მთავრობის, აკადემიური წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა.

„საქართველო ბოლო წლების განმავლობაში წარმოადგენს ძალიან მიმზიდველ მოდელს ჩვენი მეზობლებისთვის. დღევანდელ კონფერენციაზე გაიმართა დისკუსია — როგორ უნდა განვითარდეს მომავალში სახელმწიფო სტრუქტურები, რადგან იყოს დამყარებული ეფექტურ დემოკრატიულ ინსტიტუტებზე და, აგრეთვე, როგორ უნდა შეიქმნას მიმზიდველი ეკონომიკური განვითარების მოდელი“, — აღნიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ თორნიკე გორდაძემ.

„კონფერენციის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს შავიზღვისპირა ქვეყნების და სამხრეთ კავკასიის დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერებას, ეფექტური მმართველობის წარმატებული მეთოდების ერთმანეთისთვის გაცნობას და დემოკრატიული კულტურის ევროპული გამოცდილების გაზიარებას“, — განაცხადა თსუ-ის პროფესორმა კორნელი კაკაჩიამ.

კონფერენცია თსუ-ის, ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ვენის პარლამენტარიზმისა და დემოკრატიის ინსტიტუტის ორგანიზებით; აგრეთვე, თბილისისა და ვენის მერიების ორგანიზებით გაიმართა.

*საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი*

## ეკონომიკური ვიქტორინა სტუდენტებისთვის — „ეკო–მასტერი“

**თამარ დადიანი**

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებმა საგანში — „მიკროეკონომიკის პრინციპები“ კრედიტები დააგროვეს და წარმატებულად იასპარეზეს 11 ივნისს გამართულ ეკონომიკურ ვიქტორინაში — „ეკო-მასტერი.“

პროექტის ორგანიზატორი გახლდათ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი, ხოლო ფინანსური მხარდაჭერა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყო.

ვიქტორინა განახორციელა თსუ-ის „ეკონომიკის პრინციპების“ კათედრამ, რომლის ხელმძღვანელია ელგუჯა მექვაბიშვილი, ხოლო პროექტის ავტორი და კოორდინატორია პროფესორი მარინა ნაცვალაძე. იგი სამ ეტაპად განხორციელდა. მასში მონაწილეობის სურვილი 80-მდე სტუდენტმა გამოთქვა. თითოეულმა გაიარა ტესტირება, მათგან ყველაზე მაღალი შეფასების მქონე 36 სტუდენტი II ტურში გადავიდა. ისინი 6 გუნდად დაიყვნენ: „ეკო–პისტოლს“, „უხილავი ხელი“, „MR=MC“, „GDP”, Know-How” და „ევროკლიდონი“.

II ტურში გადასულმა გუნდებმა პრეზენტაციები წარმოადგინეს. ფინალში გასული გუნდები ერთმანეთს მაკროეკონომიკის პრინციპების ცოდნაში ეჯიბრებოდნენ.

ეკონომიკური ვიქტორინის ჟიურის წევრები იყვნენ: თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, პროფესორები: ელგუჯა მექვაბიშვილი, ეთერ ხარაიშვილი და ნოდარ ხადური.

ვიქტორინაზე „ეკო-მასტერი“ ყველა გამარჯვებისათვის იბრძოდა. სტუდენტები თითოეულ მოპოვებულ ქულას ხალისითა და მხიარული შეძახილებით ხვდებოდნენ.

ყოველი კატეგორიის დასრულების შემდეგ ჟიური თითოეული გუნდის შედეგებს აფასებდა. გამარჯვებული გუნდი გახდა „GDP”, რომელმაც 59 ქულა დააგროვა. გუნდის წევრები არიან: შოთა ბახუაშვილი, მარიამ კაკალაშვილი, დავით ბუმბეიშვილი, მიხეილ თოფურია, ქეთი ბოჭორიშვილი და ნინო ტოპეშაშვილი.

გამარჯვებულ გუნდს გადაეცა ფულადი ჯილდო 300 ლარის ოდენობით, ხოლო თითოეულ წევრს სახელმძღვანელოები. ორგანიზაცია „ოიკოს-თბილისმა“ გამარჯვებული გუნდის წევრებს შესთავაზა ანაზღაურებადი სამუშაო, რომელსაც ახორციელებს „ღია საზოგადოება — საქართველო“. გამარჯვებული გუნდის კაპიტანი ნინო ტოპეშაშვილი „ოიკოს ინტერნეშენალის“ საგაზაფხულო 4 დღიან სამუშაო შეხვედრაზე გაემგზავრება ევროპაში.

პროექტის ყველა ფინალისტი დაჯილდოვდა სერტიფიკატით და გახდა „ოიკოს თბილისის“ წევრი.

ასეთი ღონისძიების მიზანია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პირველკურსელებში ლოგიკური აზროვნებისა და ანალიზის უნარის განვითარება. სტუდენტები საკუთარ ცოდნასა და ინტელექტუალურ პოტენციალს ავლენენ, გამოიმუშავებენ ჯგუფური მუშაობის უნარს, უფრო აქტიურნი და მოტივირებულნი ხდებიან. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ვიქტორინის ორგანიზება სტუდენტების ინიციატივით მოხდა.

## ირვინგ გოფმანის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია

11 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 115 აუდიტორიაში გაიმართა ცნობილი სოციოლოგის ირვინგ გოფმანის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელშიც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტებმა და პროფესორებმა მიიღეს მონაწილეობა.

კონფერენცია ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ინსტიტუტის (ISDI), სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორების ლია წულაძის და ამირან ბერძენიშვილის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით გაიმართა.

საკონფერენციო თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და თითქმის მთლიანად მოიცავდა გოფმანის შემოქმედებას, გოფმანის როგორც პიროვნებისა და ინდივიდის ინტელექტუალური ბიოგრაფიიდან დაწყებული მისი კრიტიკოსების მოსაზრებების განხილვით დამთავრებული.

ძალიან საინტერესო იყო თემები, რომლებიც გოფმანის ძირითად ნაშრომს „თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში“ უკავშირდებოდა.

რამდენიმე მომხსენებელმა სხვადასხვა კუთხით წარმოადგინა გოფმანის თეატრალური ფრეიმის თავისებურებები, ასევე, ყოველდღიურ ცხოვრებაში „ჩართულობის“, „ნდობის“, „მოქალაქეობრივი უყურადღებობის“, „თამაშის“, „პერფორმანსის“, „გუნდების“ „სიტუაციური შესაბამისობის“, “მიღწევადობის“ „ფრეიმების „გოფმანისეულ კატეგორიების არსისა და ფუნქციების შესახებ ისაუბრეს.

აზრთა სხვადასხვაობა და დისკუსია გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში თემამ — „სტიგმა და სოციალური იდენტობა“, რომელშიც ყურადღება გამახვილდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებიდან გარიყვაზე.

უშუალოდ გოფმანის ნაშრომებიდან გამომდინარე თემების გარდა, კონფერენციაზე სტუდენტებმა წარადგინეს ისეთი თემებიც, რომლებიც ქართულ სოციალურ და პოლიტიკურ სივრცეს უკავშირდებოდა და არსებული რეალობა გოფმანის თეორიების მიხედვით იყო წარმოჩენილი. ამ მხრივ აღსანიშნავია თემა „რეგიონალური ქცევის ფუნქციები და რეგიონული ქცევა პოლიტიკის სივრცეში“. ასევე, საინტერესო იყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების სტუდენტის მიერ წაკითხული მოხსენება, რომელიც ი. გოფმანისა და მ. ფუკოს ნაშრომებში ტოტალური ინსტიტუტებისა და დისციპლინარული საზოგადოების ურთიერთმიმართებებს შეეხებოდა.



# ბრძანება

№67/01-01

29.05.2012

## ა(ა)იპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" და „ს" ქვეპუნქტების, 46-ე მუხლის, 47-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 31 მაისის №7 დადგენილებით დამტკიცებული ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 21 მაისის №27/04 ერთობლივი ბრძანების „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ა. ხელაძის 2012 წლის 28 მაისის №12742/02 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორთა სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის სრულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

4. უნივერსიტეტის ასისტენტ–პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი;

5. კონკურსი გამოცხადდეს 2012 წლის 29 მაისს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 2 ივლისიდან 2012 წლის 13 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2012 წლის 20 აგვისტოსი;

6. კონკურსი გამოცხადდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

**1. ეკონომიკის პრინციპების კათედრა**
სრული პროფესორი — 1
ასოცირებული პროფესორი — 2
ასისტენტ პროფესორი — 1

**2. მაკროეკონომიკის კათედრა**
სრული პროფესორი — 2
ასისტენტ პროფესორი — 2

**3. მიკროეკონომიკის კათედრა**
სრული პროფესორი — 1
ასოცირებული პროფესორი — 2
ასისტენტ პროფესორი — 1

**4. ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა**
სრული პროფესორი — 1
ასოცირებული პროფესორი — 4
ასისტენტ პროფესორი — 3

**5. ეკონომეტრიკის კათედრა**
სრული პროფესორი — 1
ასოცირებული პროფესორი — 2
ასისტენტ პროფესორი — 1

**6. მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა**
სრული პროფესორი — 1
ასოცირებული პროფესორი — 3
ასისტენტ პროფესორი — 2

**7. ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა**
სრული პროფესორი — 1
ასოცირებული პროფესორი — 5
ასისტენტ პროფესორი — 2

**8. საერთაშორისო ბიზნესის კათედრა**
სრული პროფესორი — 2
ასოცირებული პროფესორი — 4
ასისტენტ პროფესორი — 1

**9. მარკეტინგის კათედრა**
სრული პროფესორი — 1
ასოცირებული პროფესორი — 3
ასისტენტ პროფესორი — 1

**10. საბუღალტრო აღრიცხვის კათედრა**
სრული პროფესორი — 1
ასოცირებული პროფესორი — 4
ასისტენტ პროფესორი — 3

**11. ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა**
სრული პროფესორი — 1
ასოცირებული პროფესორი — 1
ასისტენტ პროფესორი — 2

**12. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა**
სრული პროფესორი — 1
ასოცირებული პროფესორი — 1
ასისტენტ პროფესორი — 2

**13. ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა**
სრული პროფესორი — 2
ასოცირებული პროფესორი — 4
ასისტენტ პროფესორი — 1

7. სრული და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით (ფაილის ფორმატი — Word და PDF);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

8. ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით (ფაილის ფორმატი — Word და PDF);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი უმაღლესი განათლების ან/და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამოტივაციო წერილი.

9. საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2012 წლის 2 ივლისიდან 2012 წლის 13 ივლისის ჩათვლით, 10:00-დან 17:00 საათამდე, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში. მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №44 (ტურიზმის საერთაშორისო სკოლა), ოთახი №213

10. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

11. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში"

12. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი
**ალექსანდრე კვიტაშვილი**

# ბრძანება

№68/01-01

30.05.2012

## ა(ა)იპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" და „ს" ქვეპუნქტების, 46-ე მუხლის, 47-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31 დადგენილებით დამტკიცებული ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, „ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 21 მაისის №27/04 ერთობლივი ბრძანების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ბ-ნ. რამაზ ბოჭორიშვილის 2012 წლის 28 მაისის №12816/02 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორთა სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის სრულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

4. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი;

5. კონკურსი გამოცხადდეს 2012 წლის 30 მაისს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 2 ივლისიდან 2012 წლის 12 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2012 წლის 24 აგვისტოსი;

6. კონკურსი გამოცხადდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა სამსახურში მისაღებად შემდეგი მიმართულებებით:

**ა) მათემატიკის მიმართულება**
**ქვემიმართულება: მათემატიკური ანალიზი**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 5 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 4 საშტატო ერთეული
**ქვემიმართულება: ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 4 საშტატო ერთეული,
**ქვემიმართულება: ალგებრა-გეომეტრია**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 4 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**ქვემიმართულება: დიფერენციალური განტოლებები**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 4 საშტატო ერთეული,
**ქვემიმართულება: მექანიკა**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**ბ) კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულება**
**ქვემიმართულება: თეორიული ინფორმატიკა**
ასოცირებული პროფესორი - 3 საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
**ქვემიმართულება: გამოყენებითი ინფორმატიკა**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,

მე-8 გვერდზე

მეშვიდე გვერდიდან

ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 3 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: ტექნიკური ინფორმატიკა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: პრაქტიკული ინფორმატიკა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**გ) ინტერდისციპლინური (მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები)**

**ქვემიმართულება: მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურები**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 3 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: რიცხვითი ანალიზი და გამოთვლითი ტექნოლოგიები**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 3 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

**დ) გეოგრაფიის მიმართულება**

**ქვემიმართულება: ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია, მეტეოროლოგია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: რეგიონალური გეოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: ნიადაგების გეოგრაფია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: გეომორფოლოგია და კარტოგრაფია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული,

**ე) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის მიმართულება**

**ქვემიმართულება: ელექტრომაგნიტური თავსებადობა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: ანტენები და ტალღების გავრცელება**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ვ) გეოლოგიის მიმართულება**

**ქვემიმართულება: გეოლოგია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 3 საშტატო ერთეული

**ზ) ქიმიის მიმართულება**

**ქვემიმართულება: ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმია**

ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: ორგანული ქიმია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: ბიოორგანული ქიმია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: მაკრომოლეკულების ქიმია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: ფიზიკური და ანალიზური ქიმია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

**თ) ბიოლოგიის მიმართულება**

**ქვემიმართულება: ბიომრავალფეროვნება**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი -1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: ბიოქიმია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: მცენარეთა ფიზიოლოგია**

ასოცირებული პროფესორი -1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: გენეტიკა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: მორფოლოგია**

სრული პროფესორი -1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ი) ფიზიკის მიმართულება**

**ქვემიმართულება: ელემენტარული ნაწილაკები და კვანტური ველები**

სრული პროფესორი -1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი -1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: კონდენსირებული გარემოს ფიზიკა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: არაწრფივი მოვლენების ფიზიკა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: პლაზმის ფიზიკა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ- პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: ატომის და ატომბირთვის ფიზიკა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასისტენტ-პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: რადიოფიზიკა, ფიზიკური პროცესების მოდელირება**

ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ქვემიმართულება: ასტროფიზიკა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული,
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**კ) ინტერდისციპლინური (ფიზიკა, ბიოლოგია) (ფიზიკა - 1 საშტატო ერთეული, ბიოლოგია -1 საშტატო ერთეული)**

**ქვემიმართულება: ბიოფიზიკა**

ასისტენტ-პროფესორი - 2 საშტატო ერთეული.

7. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე CD-ზე ჩაწერილი saxeli. gvari.doc და saxeli.gvari.pdf ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი.

8. საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2012 წლის 2 ივლისიდან 2012 წლის 12 ივლისის ჩათვლით, 10:00-დან 17:00 საათამდე, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №3, თსუ II კორპუსი, II სართული, ოთახი №223;

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში";

10. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

11. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი **ალექსანდრე კვიტაშვილი**

# ბრძანება

№69/01-01 30.05.2012

## ა(ა)იპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" და ,,ს" ქვეპუნქტების, 46-ე მუხლის, 47-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31 დადგენილებით დამტკიცებული ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 21 მაისის №27/04 ერთობლივი ბრძანების „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დ. თვალთვაძის 2012 წლის 29 მაისის №12829/02 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ პროფესორთა სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის სრულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

4. უნივერსიტეტის ასისტენტ–პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი;

5. სახვითი ხელოვნებისა და კინო-ტელე ხელოვნების მიმართულებაზე პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

6. კონკურსი გამოცხადდეს 2012 წლის 30 მაისს, საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 2 ივლისიდან 2012 წლის 10 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2012 წლის 20 აგვისტოსი;

კონკურსი გამოცხადდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორთა სამსახურში მისაღებად შემდეგი მიმართულებებით:

**1.აღმოსავლეთმცოდნეობა**

**ა)არაბისტიკა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 4 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ბ) ირანისტიკა**

ასოცირებული პროფესორი - 5 საშტატო ერთეული

**გ) თურქოლოგია**

ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

**დ) არმენოლოგია**

ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ე) ასირიოლოგია**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ვ) ებრაისტიაკა-არამეისტიკა**

ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

**ზ) აღმოსავლეთის ისტორია**

**თურქეთის ისტორია**

ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**არაბული ქვეყნების ისტორია**

ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**შორეული აღმოსავლეთის ისტორია**

ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**2. დასავლეთ ევროპული ფილოლოგია**

**ა) ინგლისური ფილოლოგია**

**ინგლისური ენა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 5 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

**ინგლისური ლიტერატურა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ბ) გერმანული ფილოლოგია**

**გერმანული ენა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 4 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**გერმანული ლიტერატურა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**გ) რომანული ფილოლოგია**

**ფრანგული ენა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ფრანგული ლიტერატურა**

ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**ესპანური ფილოლოგია**

ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

**3 . რუსული ფილოლოგია**

**ა) რუსული ენა**

სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

მე-9 გვერდზე

მერვე გვერდიდან

**ბ) რუსული ლიტერატურა**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**4. კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა და ნეოგრეცისტიკა**
**ა) კლასიკური ფილოლოგია**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 4 საშტატო ერთეული
**ბ) ბიზანტიური ფილოლოგია**
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**გ) ახალი ბერძნული ფილოლოგია**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**5. თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**6.თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება**
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
**7. თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**8. ქართული ენა**
**ა) ქართველური ენათმეცნიერება**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 7 საშტატო ერთეული
**ბ) ძველი ქართული ენა და ტექსტოლოგიური კვლევები**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
**9. ქართული ლიტერატურის ისტორია**
**ა) ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 4 საშტატო ერთეული
**ბ) ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია**
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**გ) უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია**
ასოცირებული პროფესორი - 3 საშტატო ერთეული
**დ) ფოლკლორისტიკა**
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**10. კავკასიოლოგია**
**ა) კავკასიური ენები**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**ბ) კავკასიის ისტორია**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**11. საქართველოს ისტორია**
სრული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 6 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 5 საშტატო ერთეული
**12. მსოფლიოს ისტორია**
**ა) ძველი მსოფლიოს ისტორია**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
**ბ) შუა საუკუნეების ისტორია**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**გ) ახალი და უახლესი ისტორია**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
**13. არქეოლოგია**
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
**14. ეთნოლოგია**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
**15.კულტურის კვლევები**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**16.ამერიკისმცოდნეობა**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**17.ხელოვნების ისტორია და თეორია**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 3 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**18. ვიზუალური ხელოვნება**
**ა) სახვითი ხელოვნება**
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**ბ) კინო-ტელე ხელოვნება**
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**19. ფილოსოფია**
**ა) ფილოსოფიის ისტორია**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**ბ) თეორიული ფილოსოფია**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
**გ) პრაქტიკული ფილოსოფია**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
**20. პედაგოგიკა**
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 3 საშტატო ერთეული
ასისტენტ პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

8. სრული და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CV) სახით (ფაილის ფორმატი — Word და PDF);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი;

ზ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

9. ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით (ფაილის ფორმატი — Word და PDF);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი უმაღლესი განათლების ან/და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამოტივაციო წერილი.

10. საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2012 წლის 2 ივლისიდან 2012 წლის 10 ივლისის ჩათვლით, 9:30-დან 18 საათამდე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1, თსუ I კორპუსი, II სართული, ოთახი №211;

11. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

12. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“;

13. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი **ალექსანდრე კვიტაშვილი**

# ბრძანება

№74/01-01 31.05.2012

## ა(ა)იპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" და ,,ს" ქვეპუნქტების, 46-ე მუხლის, 47-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის №31 მაისის №7 დადგენილებით დამტკიცებული ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, ა(ა)იპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 31 მაისის №29/04 ერთობლივი ბრძანების „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის ა. ცისკარიძის 2012 წლის 31 მაისის №13146/02 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის სრულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

4. უნივერსიტეტის ასისტენტ–პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი;

5. კონკურსი გამოცხადდეს 2012 წლის პირველ ივნისს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 2 ივლისიდან 2012 წლის 13 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არა უგვიანეს 2012 წლის 20 აგვისტოსი;

6. კონკურსი გამოცხადდეს მედიცინის ფაკულტეტის პროფესორთა სამსახურში მისაღებად:

**1. თერაპიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 4 საშტატო ერთეული
ასისტენტ – პროფესორი – 6 საშტატო ერთეული
**2. ქირურგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 5 საშტატო ერთეული
ასისტენტ – პროფესორი – 6 საშტატო ერთეული
**3. სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული
ასისტენტ – პროფესორი – 4 საშტატო ერთეული
**4. ადამიანის ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ – პროფესორი – 4 საშტატო ერთეული
**5. ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 5 საშტატო ერთეული
**6. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 5 საშტატო ერთეული
**7. პათოლოგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 4 საშტატო ერთეული
**8. მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 4 საშტატო ერთეული
**9. ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
**10. სამედიცინო რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ – პროფესორი – 2 საშტატო ერთეული
**11. უროლოგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
**12. პედიატრიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
**13. ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული
ასისტენტ – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
**14. დერმატოვენეროლოგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
**15. ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
**16. გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
**17. ოფთალმოლოგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული
**18. ონკოლოგიის დეპარტამენტი**
სრული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

მე-10 გვერდზე

**მეცხრე გვერდიდან**

ასისტენტ – პროფესორი – 1 საშტატო ერთეული

**7. სრული და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით (ფაილის ფორმატი — Word და PDF);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

ი) ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ, რომელიც შეიცავს:

ი.ა) თანხმობის წერილს იმ კლინიკური ბაზის/ბაზების

ხელმძღვანელისაგან, სადაც უნდა განხორციელდეს აკადემიური დასამეცნიერო-კვლევითი პროცესი.

ი.ბ) კლინიკური ბაზის/ბაზების ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს.

ი.გ) კლინიკურ ბაზაზე/ბაზებზე არსებული სასწავლო პროცესისათვის

განკუთვნილი სივრცის აღწერილობას და სასწავლო პროცესისათვის

გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს.

8. ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით, ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით (ფაილის ფორმატი — Word და PDF);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი უმაღლესი განათლების ან/და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამოტივაციო წერილი.

ზ) ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ, რომელიც შეიცავს:

ზ.ა) თანხმობის წერილს იმ კლინიკური ბაზის/ბაზების

ხელმძღვანელისაგან, სადაც უნდა განხორციელდეს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პროცესი.

ზ.ბ) კლინიკური ბაზის/ბაზების ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს.

ზ.გ) კლინიკურ ბაზაზე/ბაზებზე არსებული სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი სივრცის აღწერილობას და სასწავლო პროცესისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს.

9. საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2012 წლის 2 ივლისიდან 2012 წლის 13 ივლისის ჩათვლით, 11:00-დან 17:00 საათამდე, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში. მისამართი: თბილისი, ჭიაურელის ქ.№2, თსუ-ის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი, II სართული, ოთახი №27-28;

10. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

11. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში"

12. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი **ალექსანდრე კვიტაშვილი**

# ბრძანება

№70/01-01 31.05.2012

## ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ს" ქვეპუნქტების, 46-ე მუხლის, 47-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31 დადგენილების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 21 მაისის №27/04 ერთობლივი ბრძანების „ა(ა) იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ",, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2012 წლის 7 მაისის №10915/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის სამსახურში მიღების მიზნით;

2. უნივერსიტეტის სრულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2012 წლის 30 მაისს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 2 ივლისიდან 2012 წლის 13 ივლისის ჩათვლით, საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2012 წლის 13 აგვისტოსი.

4. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან ერთი თვის ვადაში;

5. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მიმართულების კონფლიქტების ანალიზისა და მედიაციის ქვემიმართულების სრული პროფესორის სამსახურში მიღების მიზნით;

6. სრული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით (ფაილის ფორმატი — Word და PDF);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

7. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2012 წლის 2 ივლისიდან 2012 წლის 13 ივლისის ჩათვლით, 9:30-დან 18:00 საათამდე, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. № 8 (VI კორპუსი) ოთახი №202;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში";

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

10. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა.

რექტორი **ალექსანდრე კვიტაშვილი**

# ბრძანება

№75/01-01 06.04.2012

## ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" და ,,ს" ქვეპუნქტების, 46-ე მუხლის, 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 31 მაისის №7 დადგენილებით დამტკიცებული ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 31 მაისის №29/04 ერთობლივი ბრძანების „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ირაკლი ბურდულის 2012 წლის პირველი ივნისის №13285/02 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორთა სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2012 წლის 5 ივნისს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 6 ივლისიდან 2012 წლის 16 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2012 წლის 20 აგვისტოსი;

4. კონკურსი გამოცხადდეს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორთა სამსახურში მისაღებად:

**1. სამართლის ისტორიის მიმართულება**

ასოცირებული პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;

**2. საერთაშორისო სამართლის მიმართულება**

ასოცირებული პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;

**3. სისხლის სამართლის მიმართულება**

ასოცირებული პროფესორი — 1 საშტატო ერთეული;

5. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით (ფაილის ფორმატი — Word და PDF);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი;

ზ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

6. საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2012 წლის 6 ივლისიდან 2012 წლის 16 ივლისის ჩათვლით, 10:00-დან 17:00 საათამდე, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №3, (იურიდიული ფაკულტეტი) ოთახი №117.

7. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში"

9. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი **ალექსანდრე კვიტაშვილი**

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე

# III საუნივერსიტეტთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

7 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გაიმართა ახალგაზრდა მკვლევარებისთვის მე-III უნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების პერსპექტივები“.

კონფერენცია მოეწყო თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის“ (ხელმძღვანელი, პროფესორი იოსებ მასურაშვილი) ორგანიზებით.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისე გორის, ქუთაისის და ბათუმის უნივერსიტეტების სტუდენტებმა.

კონფერენცია გახსნა და დამსწრე აუდიტორიას შესავალი სიტყვით მიმართა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა აკაკი ხელაძემ. მან წარმატება უსურვა სტუდენტებს და განაცხადა, რომ სტუდენტებისთვის კონფერენციებში მონაწილეობა არის გამოცდილების დაგროვების საუკეთესო საშუალება.

„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბოლო სამი თვის განმავლობაში ეს უკვე მე-III კონფერენციაა. ჩვენი მთავარი მიზანი არის გამოცდილების დაგროვება, რასაც ემსახურება საუნივერსიტეტთაშორისო ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება სამეცნიერო-კვლევითი თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ მასში მონაწილეობენ სხვადასხვა რეგიონების უნივერსიტეტების სტუდენტები, რაც საერთო დონის ამაღლებასა და კვლევითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. რაც უფრო ხშირად გაიმართება ასეთი სახის კონფერენციები, მით უფრო გაიზრდება უნივერსიტეტის პრესტიჟიც“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში აკაკი ხელაძემ.

„ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის“ ხელმძღვანელმა, პროფესორმა იოსებ მასურაშვილმა დადებითად შეაფასა III საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენცია და აღნიშნა: „უპირველეს ყოვლისა, მინდა, მადლობა გადავუხადო ფაკულტეტის დეკანს საორგანიზაციო საკითხების დროულად ორგანიზებისთვის. გარდა იმისა, რომ სტუდენტებისთვის სასარგებლო საქმე კეთდება, ასეთი კონფერენციები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კიდევ უფრო კონკურენტუნარიანს ხდის სხვა უნივერსიტეტებთან მიმართებაში. ასევე, ხელს უწყობს ახალგაზრდა მკვლევრების პროფესიულ ზრდას და ეხმარება სტუდენტებს კონტაქტების დამყარებაში, რაც მომავალში ახალი პროექტების შემუშავებას, ახალი იდეების დანერგვასა და მათ განხორციელებას შეუწყობს ხელს — ეს კი თავის მხრივ დადებითად იმოქმედებს და ინოვაციურ ცვლილებებს მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე“.

კონფერენციის ორგანიზება „ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრმა“ თსუ-ის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებასთან გაფორმებული პარტნიორული ხელშეკრულების საფუძველზე ერთობლივად განახორციელა.

„ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი” და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება ვცდილობთ, რომ სტუდენტმა სათანადო გამოცდილება მიიღოს; გამოიმუშავოს უნარ-ჩვევები და გამოცდილების დაგროვების შემდეგ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა განაგრძოს. ამ მიზნით ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებს. III საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენციაც ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა. კონფერენცია თემატურად მრავალფეროვანი იყო. ეს არის ერთგვარი ხელშეწყობა სამეცნიერო პრობლემატიკის წარმოჩენისთვის. დაგეგმილი გვაქვს 72-ე საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენციის გამართვაც. ინოვაციური ცენტრის ხელმძღვანელსა და ჩვენ შორის გაფორმდა თანაშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო კონფერენციების და სემინარების ორგანიზებაში ურთიერთთანამშრომლობას. რამდენადაც ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრს დიდი გამოცდილება დაუგროვდა, როგორც საუნივერსიტეტთაშორისო ისე საუნივერსიტეტო კონფერენციების გამართვის, ჩვენ გადავწყვიტეთ პარტნიორული ხელშეკრულების გაფორმება“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების თავმჯდომარემ ტარიელ კვიციანმა.

კონფერენციაზე სტუდენტებმა წარმოადგინეს საინტერესო თემები ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებაზე. კერძოდ, თსუ-ის სტუდენტებმა მარიამ ჯიბუტმა და ნატო კაბულაშვილმა ისაუბრეს თემაზე — „ორგანიზაციული ცვლილებები ქართულ ბანკებში“, თათია უდესიანმა — „საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების პერსპექტივები“, სესილი ტაბატაძემ — „სოფლის მეურნეობის დაზღვევა საქართველოში“, საინტერესო მოხსენება წაიკითხეს გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებმა: ვლადიმერ ციცაგიმ და ამირან ხაბაზიშვილმა თემაზე — „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და ძირითადი პრიორიტეტები საქართველოში“. ასევე, ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ლევან რიჟამაძემ და ლევან ქავზინიძემ თემაზე — „სოციალური ქსელები ბრენდინგის სამსახურში“.

„საუნივერსიტეტო კონფერენციების ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კონტაქტების დამყარება და განვითარება რეგიონებსა და ცენტრს შორის. დღევანდელ კონფერენციაში მონაწილეობას იღებს გორის უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის სპეციალობის 20 სტუდენტი. ვფიქრობ, ასეთი შეხვედრები სასარგებლოა სტუდენტებისთვის სამეცნიერო თვალსაზრისით“, — განაცხადა გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა გიული გიგუაშვილმა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის და ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრის სტუდენტებთან ურთიერთობის კოორდინატორის მანუჩარ მასურაშვილის თქმით: „საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენციებში მონაწილეების რიცხვი ყოველ წელს მატულობს. აქ მიღებული სერტიფიკატები კი ეხმარებათ მათ სტიპენდიების მოპოვებასა და მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებაში“.

კონფერენციის დასასრულს ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი, რეგიონებიდან ჩამოსულ სტუმრებს კი საჩუქრად გადაეცათ წიგნი „უნივერსიტეტი“.

*მოამზადა* **ნანა ღირსიაშვილმა**

# ერის განუყოფელი ნაწილი საფრანგეთში

**მეოთხე გვერდიდან**

კრიზისის პერიოდში, (როცა სისხლიანმა რეპრესიებმა თითქმის მთლიანად გაანადგურა ჩვენში სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ინტელექტუალური ელიტა), საფრანგეთში მყოფმა ქართველებმა შეძლეს მაღლა აღემართათ ძირს დაცემული ქართული დროშა და ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის, თავისუფლების იდეალებისადმი ერთგულებით, ნამდვილ ზნეობრივ მაგალითებად იქცნენ. სწორედ მათ შორის იყვნენ სამშობლოსთვის თავდადებული ექვთიმე თაყაიშვილი და გრიგოლ ფერაძე, ლევან ზურაბიშვილი, ელი მელია, ელისე პატარიძე, იოსებ კემულარია და სხვ. მოხარული ვარ, რომ დღევანდელი ემიგრაცია, ამ სახელოვანი ქართველების შთამომავალნი, ღირსეულად აგრძელებენ მამების საქმიანობას. ვამაყობთ, რომ თავაწეული და წელგამართული ვხვდებით მათ საკუთარ სამშობლოში, რადგან წავიდა დრო სირცხვილის, სასოწარკვეთის, უიმედობისა და დღეს ყველას შეგვიძლია ვიამაყოთ უკვე შემდგარი ქართული სახელმწიფოს წინსვლით და წარმატებებით“, — აღნიშნა პროფესორმა ნანა გუნცაძემ.

საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტმა ოთარ ზურაბიშვილმა საინტერესოდ ისაუბრა სათვისტომოს როლსა და მნიშვნელობაზე. „დღეს ყველა ერთად ვიხსენებთ, რამდენი ქართველი მამულიშვილია იქ გადახვეწილი... ქართველთა სათვისტომომ დიდი როლი შეასრულა, რომ ჩვენი ქართველობა არ დაკარგულიყო. საფრანგეთში მცხოვრები ქართველთა სამი თაობა დღესაც ქართული სულის მატარებელია და საქართველოს სიყვარულით გულანთებულია. ჩვენ, ჩვენს შვილებს მშობლიური ქვეყნის უზომო სიყვარული და პატივისცემა ვასწავლეთ. სადაც არ უნდა ვიყოთ, მაინც საქართველოს შვილები ვართ! იმედი მაქვს, რომ ქართველი და საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდები მომავალში ერთად დაწერენ ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე ისტორიას“.

სათვისტომოს პრეზიდენტმა ოთარ ზურაბიშვილმა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდიები გადასცა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფრანგული ფილოლოგიის მიმართულების I კურსის მაგისტრანტს ნათია ღვინიაშვილსა და ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტს ნინო გოგიჩაიშვილს.

ნინო გოგიჩაიშვილმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ქართველი ემიგრანტების მოღვაწეობას, რომელიც გმირობისა და მამულიშვილობის საუკეთესო მაგალითია: „არიან ადამიანები, რომლებმაც შორეულ საფრანგეთში ქართულ სათვისტომოს ღირსეული ისტორია „დაუწერეს“.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქართველი ემიგრანტის გრიგოლ ფერაძის თავგანწირვის ისტორია შევიტყვე. ჩემთვის იგი ნათელი მაგალითი გახდა იმისა, თუ როგორ შეიძლება იქცე გმირად ისე, რომ არც ხმალი დაიჭირო ხელში და არც დიდი მასშტაბის საზოგადო პროცესებში იყო ჩართული.

იმ მორალურ სიმაღლეზე ასვლა, რაც გ. ფერაძემ შეძლო, უდავოდ დიადია. სწორედ ამიტომაც შერაცხა იგი ეკლესიამ წმინდანად. ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია ჩვენი გმირი წინაპრების ცხოვრების ცოდნა, რადგან, როგორც ილია ამბობდა: „შვილმა უნდა იცოდეს სად გაჩერდა მამა-პაპა, რათა იქიდან გააგრძელოს”. ქართველი ემიგრანტები ხშირად უფრო მეტს აკეთებენ სამშობლოსთვის, ვიდრე ზოგიერთი სამშობლოში მცხოვრები. სამშობლოსმოწყვეტილნი მუდამ ქართულ მაჯისცემაზე არიან მომართულნი”.

ღონისძიებას, სტუმრის სტატუსით, ნოე ჟორდანიას შვილი რეჯებ ჟორდანიაც ესწრებოდა. ბატონმა რეჯებმა ემიგრანტების მიერ საფრანგეთში გატარებულ პირველ წლებზე ისაუბრა, იმ სიძნელეებსა და გაჭირვებაზე, რომლის გადალახვაც უხდებოდათ სამშობლოდან გადახვეწილ მამულიშვილებს. მან ემიგრანტების ცხოვრების ეპიზოდებიც გაიხსენა, თანამედროვე ცხოვრების საინტერესო ფაქტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სათვისტომო მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს ქართული კულტურის პოპულარიზაციას საფრანგეთში და იზრუნებს ქართული კულტურის განვითარებისთვის.

საზეიმო სხდომაზე საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს: ემიგრაციის მუზეუმის დირექტორმა ლევან ურუშაძემ, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ, მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა სანდრო ცისკარიძემ, ცნობილმა მთარგმნელმა და ლიტერატორმა გიორგი ეკიზაშვილი, თსუ-ის რომანული მიმართულების ხელმძღვანელმა ქ. გაბუნიამ, დოქტორანტმა ბექა კობახიძემ, მაგისტრატურის I კურსის სტუდენტმა ქ. ბიაშვილმა, სათვისტომოს წარმომადგენელმა ოთარ პატარიძემ.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა თსუ-ის გოგონათა ანსამბლმა „გორდელამ“ და თსუ-ის ვაჟთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „უნივერსიტეტმა“. ანსამბლმა „მე რუსთველი“ ქართული ხალხური სიმღერები შეასრულა. ზეიმიდან მიღებული ქართული მუხტი დიდხანს გაჰყვება სათვისტომოს წარმომადგენლებსა და სტუმრებს შორეულ საფრანგეთში.





# კავკასიური საღამო

**შურთხია ბეროშვილი**

ერთიანი და ძლიერი კავკასიის იდეა საქართველოში ოდითგან არსებობდა. ათასწლეულების განმავლობაში ამ ხალხებს აერთიანებდათ ერთიანი ეთნოკულტურა, ადათ-წესები, ერთიანი მსოფლმხედველობა, საერთო ისტორიული ბედი, რაც კავკასიელი ხალხების მენტალობას განსაზღვრავდა.

XX საუკუნეში თბილისს კავკასიის დედაქალაქის სტატუსიც კი ჰქონდა. კავკასიაში პირველი სასწავლო სამეცნიერო ცენტრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახლდათ, სადაც დაარსებიდან სულ რამდენიმე წელიწადში კავკასიურ ენათა კათედრა შეიქმნა, სწორედ აქ ხდებოდა მეცნიერებისა თუ კულტურის წარმომადგენელ კავკასიოლოგთა კონსოლიდაცია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოლიეთნიკური, მულტილინგვალური კავკასია, როგორც ბუფერული ზონა, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შეჯახების არენად იქცა, რომელიც დღემდე მუდმივად ირყევა ფსევდოეთნოკონფლიქტებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარსულის ტრადიციები დღესაც გრძელდება. თსუში სწავლობენ როგორც ადგილობრივი, ისე კავკასიის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ჩეჩნები, ინგუშები, ოსები და სხვა ეთნოსის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ მშობლიურ ენასთან ერთად ქართულს და, ამავე დროს, ერთმანეთის სიყვარულსაც სწავლობენ.

„კავკასიურ საღამოზე“, რომელიც 5 ივნისს თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა, სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებმა საზოგადოების წინაშე თავიანთი ეთნოკულტურა წარმოაჩინეს.

„კავკასიელ ხალხებთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს ამ კუთხით ხელისუფლების მხრიდან სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. ჩრდილოკავკასიელებს უკვე გავუხსენით გზა, მათ სხვებიც მოჰყვებიან. ერთიანი, ძლიერი კავკასიის იდეა რომ ნამდვილად განხორციელდება, ამას აქ შეკრებილი შემოქმედი ახალგაზრდების ერთობაც ადასტურებს“, — აღნიშნა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ დიასპორას საკითხებში იულონ გაგოშიძემ.

„მეორე წელია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამგვარი ფორმატის ღონისძიება იმართება და კარგი იქნება, თუკი ტრადიციადაც იქცევა. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის. მახარებს, რომ ახალგაზრდობას აწუხებს ის, რაც დღეს კავკასიაში ხდება. ისინი ცდილობენ, წინა პლანზე წამოსწიონ ის დადებითი მხარეები, რაც კავკასიელ ხალხებს აერთიანებს. კულტურული სივრცე და კავკასიური ცივილიზაცია — ეს არის მთავარი მომენტები, რაც ამ ღონისძიებაზე გამოიკვეთა. არ უნდა დაგვავიწყდეს — რა გზა გამოვიარეთ ყველამ ერთად და უნდა გვახსოვდეს, რომ კავკასიური მენტალობის მთავარი განმსაზღვრელი ტოლერანტობაა. ამიტომ იდგნენ დღეს სცენაზე ერთმანეთის გვერდით სომეხი და აზერბაიჯანელი, ქართველი და ჩეჩენი ახალგაზრდები. ამ თაობამ უნდა გადაიბაროს ესტაფეტა, რადგან ახლა ესენი არიან მომავალი ერთიანი კავკასიის პატრონები.

მსოფლიოში, ალბათ, ძნელად მოიძებნება ქვეყანა, სადაც ასე მცირე ტერიტორიაზე ამდენი განსხვავებული ეთნოსი ცხოვრობს. ამ ღონისძიების ქვეტექსტი ის არის, რომ კავკასიაში შექმნილი ეთნოკონფლიქტები და დაპირისპირება ხელოვნურია. იგი ყოველთვის მესამე ძალისგან არის ინსპირირებული. ამიტომ, პრობლემების მოსაგვარებლად წარსულის მაგალითი უნდა იყოს ორიენტირი“, — განაცხადა თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ცირა ბარამიძემ.

კავკასიური საღამო სტუდენტური გაერთიანება „დამანის“ ინიციატივით გაიმართა. ორგანიზაციის წევრებმა ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად რეგიონებიდან მოიწვიეს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ახალგაზრდები, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას თავიანთი შემოქმედება გააცნეს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ქურთული ასოციაციის წევრები, ჩეჩენი, სომეხი, ინგუში, ოსი ეთნოსის წარმომადგენლები, ასევე, გარდაბნელი სომხები და ანსამბლი „სალხინო“, რომელმაც ქართული ცეკვები შეასრულა.

ღონისძიების ერთერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა მეგი პოპიაშვილმა შეხვედრაზე განაცხადა:



„ერთიანი, ძლიერი კავკასიის იდეა ყველა ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია. დღეს ამ სცენაზე დგანან სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები და არ ახსოვთ კონფლიქტები! ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ფასეულობათა ნუსხა, რომელიც კავკასიურ იდენტობას განაპირობებს და სულს უდგამს ერთიანი კავკასიის იდეას. ეს ფასეულობებია: საერთო ისტორიული ბედი, გენეტიკური ნათესაობა, ადათ-წესები, საერთო მენტალიტეტი — სტუმარ-მასპინძლობა და სხვა. სამწუხაროდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ზოგიერთ კავკასიურ ეთნოსთა შორის გაუცხოების მომენტებიც გაჩნდა. საკმაოდ აქტუალური გახდა ერთიანი კავკასიის იდეა, რომელსაც მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა კავკასიელი ხალხი გაერთიანდეს, ეს კი მხოლოდ სიყვარულით არის შესაძლებელი“.

კავკასიური საღამოს ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რომ მომავალში კულტურულ ღონისძიებებთან ერთად სხვა პროექტებიც განხორციელდება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში კავკასიის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.





# „მაშინ ყველაზე მოდური იყო ფიზიკის სპეციალობა“

*წლების წინ მას ხშირად ნახავდით უნივერსიტეტის ბაღში შვილიშვილებთან მოსეირნეს... ბაბუის ეს ვითომ ჩვეულებრივი რიტუალი უთუოდ მიანიშნებს, რომ სურდა, უნივერსიტეტისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება მომავალ თაობას გადასცემოდა, მათაც ეგრძნოთ ამ დიდი თეთრი შენობისადმი სიყვარული...*

*ბატონი არჩილ უგულავა, სტუდენტობიდან მოყოლებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არასოდეს მოსცილებია. იგი 40 წელზე მეტია ამ კედლებში მიმდინარე ყველა პროცესის თვითმხილველი და მონაწილეა და ისე იცხოვრა, არასოდეს დაუკარგავს ღირსება და კოლეგების პატივისცემა...*

*თავად არ ფიქრობს, რომ გამორჩეული ნიჭის პატრონია. პირიქით, იხსენებს, რომ ჩვეულებრივი ბავშვი იყო და მისი წარმატება თავდაუზოგავი შრომისა და იმ ადამიანების დამსახურებაა, რომელიც მის გვერდით აღმოჩნდნენ სტუდენტობაშიც, ასპირანტურაში სწავლის პერიოდშიც და მერეც, როცა უკვე თავად გახდა სხვების მასწავლებელი. საუბრის ბოლოს კი ბედნიერების ძალიან პატარა გასაღებიც გაგვიმხილა — მადლიერება იმით, რაც მისთვის ცხოვრებამ და ადამიანებმა გაიმეტეს....*

**მაია ტორაძე**

***— ბატონო არჩილ, ფიზიკა იმდენად რთული საგანია, რომ თუ ბავშვობიდან არ გიტაცებს, ძნელია ამ მიმართულებაზე სწავლა. თქვენ როგორ გადაწყვიტეთ ფიზიკოსობა?***

— ამას მთელი ისტორია უძღვის წინ.

ჩემი მშობლები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით არასოდეს დაინტერესებულან. მამამ დასავლეთევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ მთელი ცხოვრება იქ მუშაობდა, სადაც მის სულს სიამოვნებდა. სტუდენტობაში თეატრით ყოფილა გატაცებული. ჯერ ახმეტელის სტუდიაში დადიოდა, მერე — უნივერსიტეტის თეატრალურ დასში, სადაც მასთან ერთად მოღვაწეობდნენ შემდგომში ცნობილი მსახიობები — გოგი ტატიშვილი, ტარიელ საყვარელიძე და იაკობ ტრიპოლსკი. ამის შემდეგ ჟურნალისტობა გადაწყვიტა და 10 წლის განმავლობაში გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი იყო, ბოლოს კი ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტში მუშაობდა. დედა სპეციალობით ეკონომისტი გახლდათ, მაგრამ თავისი სპეციალობით არასოდეს უმუშავია.

ჩემი საბუნებისმეტყველო მეცნიერებით დაინტერესება სრულიად შემთხვევით მოხდა. ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვსწავლობდი. არასდროს ვყოფილვარ წარჩინებული მოსწავლე, მაგრამ ჩვენ ისეთი ძლიერი მასწავლებლები გვყავდა, რომ, როგორც ჩანს, საკმარისი საფუძველი მომცეს. არ შემიძლია არ ვახსენო ეს დიდებული ადამიანები: მათემატიკის მასწავლებლები: რეზო საყვარელიძე („წვერას“ ეძახდნენ, რადგანაც გალაკტიონივით წვერს ატარებდა), ტიხონ მამალაძე, სერგო ჯოჯუა, ჟორა ოქრუაშვილი, ფიზიკაში შოთა აბაიშვილი და ქიმიაში — ნინო ვარდუაშვილი. როგორც არ უნდა გესწავლა და გეყალთაბანდა, ამ ხალხის დამსახურებით საფუძველი მაინც გექმნებოდა და ამ საფუძველზე აშენებდი სხვა ცოდნას.

XI კლასში დავფიქრდი, რა უნდა მესწავლა და გადავიხარე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით. მაშინ უკვე ყველაფერს თანაბრად ვსწავლობდი და ფიზიკის არჩევანი არა საგნისადმი ინტერესმა, არამედ ერთგვარად მოდამ გაალვიძა. დაუჯერებელია ხომ? მაშინ ყველაზე მოდური იყო ფიზიკის სპეციალობა. თითქმის ყველა ადგილს მედალოსნები ავსებდნენ და ახლაც რომ ვიხსენებ, კიდევ დაუჯერებლად მეჩვენება, რომ ამ ფაკულტეტზე მოვხვდი. სხვათა შორის, მხოლოდ ორი ოთხიანი მივიღე, დანარჩენი — ხუთები. მეცნიერებით ჩემი დაინტერესება და ფიზიკოსად ფორმირება კი უნივერსიტეტში არსებულმა ატმოსფერომ განაპირობა.

***— როგორი იყო ეს ატმოსფერო, ვისთან ერთად გიწევდათ სწავლა და მუშაობა?***

— 1965 წელს ჩავირიცხე ფიზიკის ფაკულტეტზე. მთავარი ის იყო, რომ ამ წელს ერთდროულად დაახლოებით 25 სტუდენტი იყო შემოსული 42-ე სკოლიდან (ვეკუას სახელობის სკოლა). ესენი ნარჩევი ახალგაზრდები გახლდათ, განსაკუთრებული ნიჭის მქონე და მათემატიკური ცოდნით შეიარაღებული, რომლებიც ძალიან ძლიერ და კონკურენტულ სტუდენტურ გარემოს ქმნიდნენ. ჩვეულებრივი სკოლებიდან ჩარიცხულებს დღე და ღამე შრომა გვიწევდა, რომ მათ დავწეოდით.

მოხდა ნიშანდობლივი რამ — მათემატიკური სკოლის კურსდამთავრებულებს სასწავ-

მე-13 გვერდზე

# „მაშინ ყველაზე მოდური იყო ფიზიკის სპეციალობა“

მეთორმეტე გვერდიდან

ლო პროგრამის ის ნაწილი, რასაც პირველ კურსზე ვსწავლობდით, სკოლაშივე ჰქონდათ გავლილი და ინტერესი დაკარგეს, რის გამოც ის ჩვევები, რაც ჩვენ გამოვიმუშავეთ, მათ ვერ გამოიმუშავეს. ჩვენ მათ დაწევას ვცდილობდით და ისე გამოვიდა, რომ გავასწარით კიდეც, დაუღალავი შრომისა და სწავლის შედეგად. შემიძლია ვთქვა, რომ ძირითადად, თუ რამე ვიცი, სწორედ მაშინაა ნასწავლი და თან ისე, რომ ბოლო კურსზე, როგორც წარჩინებული, სტიპენდიის მფლობელიც გავხდი.

***— ადამიანები თავიანთ წარმატებას ხშირად უმადლიან ლექტორებსა და მასწავლებლებს, რადგანაც მათ მიერ სწორად შერჩეული მიდგომები და ცოდნის გადაცემის უნარები საბოლოოდ სტუდენტსა თუ მოსწავლეში იყრის თავს. თქვენ იმ პერიოდში სწავლობდით, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის სკოლა მართლაც მსოფლიო მნიშვნელობისა იყო. ვის გაიხსენებდით თქვენი ლექტორებიდან?***

— ბევრი იყო ასეთი, მაგრამ პირველ რიგში გურამ ჭილაშვილს გავიხსენებ. გსმენიათ ალბათ, რომ ის იყო განსაკუთრებული პიროვნება. ამბობენ, შეუცვლელი არავინ არისო, მაგრამ როცა მისი წასვლის შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდება ან გაუარესდება, ესე იგი, ეს ადამიანი ბევრს წყვეტდა.

იგი მე-2 კურსზე კითხულობდა თეორიულ მექანიკას და მთელი წლის მასალა უნდა ჩაგებარებინა. მაშინ წელიწადში 100-მდე სტუდენტი იჭრებოდა გამოცდაზე და სხვა ფაკულტეტებზე გადადიოდა. ეს იყო სერიოზული ფილტრაცია... მე ეს გამოცდები კარგად ჩავაბარე და მივხვდი, რომ ჩემი მომავალი სპეციალობა თეორიულ ფიზიკასთან დაკავშირებული უნდა ყოფილიყო.

გურამ ჭილაშვილი თვითონ ვაგან მამასახლისოვის სკოლას განეკუთვნებოდა და მისი აღზრდილებიდან ბევრი სახელოვანი მეცნიერი დადგა — ბიჭიკო ვაშაკიძე, ანზორ ხელაშვილი, ჯემალ მებონია. ისინი იმ კათედრის წარმომადგენლები არიან, რომელსაც ბატონი გურამი ხელმძღვანელობდა.

ბატონი გურამი იყო ჩემი საკურსოს ხელმძღვანელიც, ვფიქრობდი, მომავალშიც მისი ხელმძღვანელობით მემუშავა, მაგრამ ამ დროს დანიშნეს პრორექტორად. ასპირანტებს რომ უხელმძღვანელო, ჯერ იმის დრო უნდა გქონდეს, რომ თავად კითხულობდე ბევრს და თვალს ადევნებდე სიახლეებს და მერე იმის დროც უნდა გამოძებნო, ასპირანტს მისცე სწორი მიმართულება. ერთდროულად ადმინისტრაციული საქმიანობა, ლექციების კითხვა და სამეცნიერო ხელმძღვანელობა ძნელი გასაკეთებელია. ამიტომაც აღარ მიფიქრია მის ხელმძღვანელობაზე. თუმცა, ბატონი გურამი იმდენად გამორჩეული პიროვნება იყო, რომ ასპირანტები აღარ ჰყოლია, მაგრამ 2-3 საინტერესო წიგნის დაწერა მაინც მოასწრო.

***— ფიზიკის რომელი სფერო გახდა შემდგომში თქვენი სამეცნიერო ინტერესის ობიექტი?***

— 1969 წელს ბატონმა ჯუმბერ ლომინაძემ მოსკოვში გამგზავნა დიპლომის გასაკეთებლად. იქაც ძალიან კარგ ხალხში მოვხვდი. ჩემი მასწავლებლები იყვნენ წარმატებული და მაშინდელ საბჭოთა კავშირში ცნობილი ფიზიკოსები. მაგალითად, სტატისტიკას მიკითხავდა შემდგომში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის (МГУ) რექტორი ხოხლოვი.

დიპლომის დაცვის შემდეგ მუშაობა დავიწყე უნივერსიტეტში ლევან ბუიშვილთან, რომელიც თავად გივი ხუციშვილის მოწაფე იყო. ბატონ ლევანზეც მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა: ძალიან ბევრი რამ, რაც ვისწავლე, რამაც შემდგომ ჩემი სამეცნიერო მუშაობა განაპირობა, ამ ადამიანის დამსახურებაა.

1974 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. ჩემი ხელმძღვანელები იყვნენ ლევან ბუიშვილი და ნიკა გიორგაძე ფიზიკის ინსტიტუტიდან. თემა ეხებოდა ელექტრონულ პარამაგნიტულ რეზონანსს.

ჩვენ მაშინ ვმუშაობდით დაბალი ტემპერატურის კვლევის სამეცნიერ-კვლევით ლაბორატორიაში. ჩემს თაობას ახსოვს, რომ ხრუშჩოვის დროს გაიხსნა ასეთი ლაბორატორიები, რადგანაც ამით ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების დამსგავსება სურდათ ამერიკული უნივერსიტეტების სისტემასთან. ამ ლაბორატორიებში მომუშავე ადამიანებს საათობრივი დატვირთვა არ ჰქონდათ. მე კი ლექციების მცირე რაოდენობა ავიღე — სემესტრში 100 საათი. ეს აღმოჩნდა ზუსტად იმდენი დატვირთვა, რომელსაც მხოლოდ სარგებლობა მოჰქონდა და არც გადამღლელი იყო. ამ გადასახედიდან ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი, რადგანაც თუ ლექციებს არ ატარებ და სიახლეებთან შეხება არ გაქვს, ისე ვერ გაიზრდები, თუმცა ეს დატვირთვა ადამიანის შესაძლებლობის ზღვარს არ უნდა აღემატებოდეს. მაშინ იმ ლექტორებს, რომელიც კათედრებზე მუშაობდნენ, ძალიან ბევრი ლექციები ჰქონდათ — სემესტრში 800-900 საათი და ეს მათთვის, ფაქტობრივად, ხელისშემშლელი აღმოჩნდა, რადგანაც ამ ფონზე სამეცნიერო მუშაობა თითქმის შეუძლებელი იყო და ფიზიკურადაც ბევრი დაუძლურდა. მე ზომიერი დატვირთვა მქონდა და ამან განაპირობა ის, რომ დისერტაციებიც და შრომებიც დროზე და თანმიმდევრობით გავაკეთე.

***— თქვენი სადოქტორო დისერტაცია ფიზიკის მეტად საინტერესო მიმართულებაში გაკეთდა... თავად გაგიჩნდათ ინტერესი თუ თქვენმა ლაბორატორიულმა კვლევებმა განაპირობა არაწრფივ მექანიკაში მუშაობა?***

— აქ კიდევ ერთხელ უნდა ვახსენო ლევან ბუიშვილი. ამ ადამიანს ფართო ერუდიცია და ღრმა ცოდნა გააჩნდა. ის დაინტერესებული იყო ფიზიკისა და მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებით. ერთერთი გახლდათ არაწრფივი მოვლენები. ეს მისთვის ჰობი იყო, რომელიც მომდინარეობდა მისი პედაგოგის, ზუბარიოვის მოღვაწეობიდან.

არაწრფივი მექანიკა საბჭოთა პერიოდში მივიწყებული დარგი გახლდათ. მას ფიზიკის ფაკულტეტებზე თითქმის არ ასწავლიდნენ, მხოლოდ რადიოტექნიკოსებს ეკითხებოდათ ეს საგანი, მაგრამ მოგვიანებით – ლაზერებთან დაკავშირებით, ამ მიმართულების რანიმაცია მოხდა. სწორედ მაშინ იჩინა თავი ბატონი ლევანის ინტერესმა და მან შემომთავაზა, მემუშავა ამ მიმართულებით. უნდა გამერკვია — როგორ ჩნდება არაწრფივ მექანიკაში ქაოსი.

80-იანი წლები ამაზე მუშაობას შევალიე და დისერტაციაც ამ თემაზე დავწერე: „პარამაგნიტული სისტემების რეგულარული და სტოჰასტიური დინამიკა“. ეს იყო 1988 წელს. მაშინ 41 წლისა ვიყავი.

***— ბატონო არჩილ, თქვენ იმ წლებში მოგიწიათ ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შესრულება, როცა უნივერსიტეტში სხვადასხვა მიმართულებით პროტესტის დიდი ტალღა აგორდა. როგორ მოახერხეთ მუშაობა ისე,***



***რომ ამ წლებში ადამიანურად მართალი დარჩით?***

— სინამდვილეში ეს მართლაც ძალიან მტკივნეული წლები იყო.

პირველ აკადემიურ კონკურსს წინ უძღოდა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების საგრანტო კონკურსზე გადასვლა. ამას იქ მომუშავე ხალხი სამსახურის დაკარგვად აღიქვამდა. დაიწყო საპროტესტო გამოსვლები და სასამართლოში სიარული. მაშინ ქიმიის ფაკულტეტზე ერთი ლაბორატორია იყო, ფიზიკაზე — 12, ბიოლოგიაზე — 14 და ასეულობით ადამიანი მუშაობდა. მათ შორის მეც ვიყავი და ყველაზე დიდი ხელფასი მქონდა — 85 ლარი. ეს იყო სიმბოლური ანაზღაურება, რომელიც სამსახურში სიარულის საშუალებასაც არ იძლეოდა. ამიტომ როცა კონკურსი გამოცხადდა, იდეა მომეწონა, რადგანაც ასეთ რაღაცაზე მეც ვფიქრობდი.

როცა დეკანად დავინიშნე, ქალბატონმა რუსუდან ლორთქიფანიძემ დამავალა საკონკურსო წესების შედგენა. მეც დავჯექი და დავწერე. იმ პერიოდში ფიზიკის ფაკულტეტზე 116 თანამშრომელი იყო. კარგად დავთვალე ყველაფერი და, ჩემი მოსაზრებით, 115 ადამიანი სჭირდებოდა ფაკულტეტის სტუდენტთა იმ რაოდენობას, რომელიც მაშინ სწავლობდა. მოკლედ, ფიზიკის მიმართულებით კონკურსი უნდა გამოცხადებულიყო 115 ვაკანსიაზე, ხოლო მათემატიკის მიმართულებით, ჩემი გათვლით, კიდევ 40 შტატი უნდა დამატებულიყო. ამ კონკურსში ლაბორატორიაში მომუშავეებსაც შეეძლოთ მონაწილეობა.

მიუხედავად ამგვარი ლოიალური მოთხოვნებისა, ამ გამოუცხადებელ კონკურსსაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. სხვათა შორის, ჩემივე შედგენილი წესებით, მე იმ კონკურსში ასისტენტ-პროფესორადაც ვერ გავდიოდი, სხვა თანამშრომლებს კი უამრავი შრომები და მაღალი საათობრივი დატვირთვა ჰქონდათ.

***— რა არ მოსწონდათ მაშინდელი კონკურსის წესებში?***

— რა ვიცი, ბევრი რამ, მაგალითად, ის, რომ სრული პროფესორების რიცხვი ბევრი არ იყო... ამბობდნენ, გვაქვეითებენო... მიაჩნდათ, რომ მათ საკუთარი შტატი ჰქონდათ და მას არავინ უნდა შეხებოდა, აცხადებდნენ, მე სხვის შტატზე ვერ განვაცხადებ პრეტენზიასო და ა.შ. მოხდა ისე, რომ სწორედ ამ დროს განათლების სამინისტრომ ეს კონკურსი შეაჩერა და საშტატო განრიგი საერთოდ შეიცვალა — დადგინდა 20 სტუდენტზე ერთი პროფესორი, მაშინ როცა უნივერსიტეტში ანალოგიური შეფარდებით 20 პროფესორი იყო. ახალი წესებით ის 115 ადგილი, რომელზეც მე მინდოდა კონკურსის გამოცხადება, 23 ადგილამდე დავიდა. მიმაჩნდა, რომ იმ ადამიანების საჩივარი მაშინ სამართლიანი არ იყო... ვფიქრობ, რომ სტუდენტების იმ რაოდენობაზე, რომელიც ახლა სწავლობს უნივერსიტეტში, პროფესორთა რიცხვი სრულიად მისაღებია.

***— როგორც მახსოვს, თქვენ თავად თქვით უარი დეკანის მოვალეობის შესრულებაზე...***

— როცა რექტორად გიორგი ხუბუა მოვიდა, მივხვდი, რომ ეს ადამიანი კონტინგენტს არ იცნობდა და თავად შევთავაზე, ცოტა ხანი მე დაგეხმარებით მეთქი. ის არ იცნობდა სისტემას და აქ კონკურსს ვერ ჩაატარებდა. ჩავატარეთ კონკურსი და წავედი...

***— როგორ ფიქრობთ, არის თუ არა დღეს უნივერსიტეტის ფიზიკის მიმართულებაზე სწავლების მაღალი დონე?***

— თუ გასულ წლებს შევადარებთ, ახლა გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. მახსოვს, როცა პირველად მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები დაინიშნა, საშინელი შედეგები მივიღეთ, გამოცდას ატარებდნენ უნივერსიტეტის პროფესორები და საკითხებიც მათი შედგენილი იყო. გამოცდა წერით ჩატარდა და ვხედავდი, რომ კონკურსანტებს წერა ძალიან გაუჭირდათ. საბოლოოდ 29 ადგილიდან 9 ვაკანსია დარჩა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათი ცოდნა სამიანზეც ვერ შევაფასეთ. ამას ჰქონდა გარკვეული ობიექტური წინაპირობა — სკოლა, რომელშიც ეს საგანი ფაქტობრივად აღარ ისწავლებოდა, უნივერსიტეტში კი ამ საფუძველზე ცოდნის დაშენება შეუძლებელი იყო.

მიმაჩნია, რომ მაშინ რაოდენობრივადაც ძალიან ბევრი სტუდენტი გვყავდა. მაგალითად, ფინეთში, ფიზიკა ორ უნივერსიტეტში ისწავლებოდა — ჰელსინკში და ტურკუში და სულ 25 სტუდენტი ჰყავდათ. მარტო ის ხომ არაა, რომ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრო, დასაქმების ბაზარიც ხომ უნდა არსებობდეს?

დღეს გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. აქ ძირითადად კომაროვის სკოლის კურსდამთავრებულები მოდიან და ვინც მოდის, მას ფიზიკა უყვარს... ამ ნაკადში, II-III კურსზე პატარა ჯგუფებია, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ბავშვები არიან თავმოყრილი, რაც იმ სკოლების დამსახურებაა, რომელიც ფიზიკა-მათემატიკას გაძლიერებულად ასწავლიან.

***— საბჭოთა პერიოდში ცნობილი და წარმატებული მამები შვილებს გზას უკვალავდნენ. თქვენ ეს არ დაგჭირვებიათ, რადგანაც თქვენმა შვილებმა თქვენგან განსხვავებული სპეციალობები და მოღვაწეობის სფეროები აირჩიეს. მათ შორის ერთერთი ქალაქის მერის თანამდებობაზეა და ალბათ ხანდახან მისი აუგიც გესმით. როგორ ფიქრობთ, გიგი უგულავა ისეთი მერია, როგორი შვილიც თქვენ გაზარდეთ?***

— ზუსტად ისეთია, როგორიც გავზარდე. და საერთოდ, რომ არ იყოს ჩემი შვილი გიგი უგულავა, იმ პროცესებს, რასაც ახლა ვხედავ, მთელი შეგნებით გვერდში დავუდგებოდი.

ორი ვაჟი მყავს... ირაკლიმ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი დაასრულა... მთამსვლელია და ევერესტზე რომ ჯგუფი ავიდა, ერთერთი ჩემი შვილიც იყო.

საქმე რა არის იცით? როცა ვადარებ სხვა ოჯახებს და მათი აღზრდის მეთოდებს, ვხედავ, რომ ჩემს ოჯახში შვილებს ძალიან დიდი თავისუფლება ეძლეოდათ. მე მათ სკოლაში არასოდეს ვყოფილვარ. სახლშიც თავად მეცადინობდნენ.

რაც შეეხება გიგის, ის ძალიან ორგანიზებული ბავშვი იყო. სასაცილოც იყო რომ გეთქვა, იმეცადინეო. თავად გეგმავდა თავის სასწავლო გრაფიკსაც და დასვენებასაც.

ჩემი შვილები ერთადერთხელ მოვიდნენ ჩემთან მომავალ სპეციალობებზე სასაუბროდ. მაშინ სკოლებში გაჩნდა ახალი სისტემა — მოსწავლეებს უნდა აერჩიათ ან ჰუმანიტარული ან ტექნიკური მიმართულებები. ირაკლიმ და გიგიმ სწორედ მაშინ მოისურვეს ჩემთან საუბარი. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ უფროსმა ვაჟმა, რომელსაც არასდროს უსწავლია არც ფიზიკა და არც მათემატიკა, გადაწყვიტა გეოგრაფია ესწავლა და გიგიმ, რომელიც მათემატიკაში ძალიან ძლიერი იყო, გადაწყვიტა, ჰუმანიტარული მიმართულება აერჩია... რა უნდა მეთქვა... ჩემთან იმიტომ მოვიდნენ რომ ასეთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს, თუმცა მე ნებართვას კი არ მეკითხებოდნენ, უბრალოდ, ცნობად უნდა მიმეღო მათი გადაწყვეტილება...

***— და ბოლოს, როცა წარსულზე ფიქრობთ, რა დასკვნამდე მიდიხართ — შედგა თქვენი ცხოვრება?***

— საერთოდ ბედნიერი კაცი ვარ. შეიძლება დიდი ვერაფერი მეცნიერი გამოვედი, მაგრამ სადაც მივდიოდი, ყველგან მხვდებოდა ადამიანი, რომელიც გულისხმიერი იყო და შრომისადმი თავდადებას მასწავლიდა. მეც მზად ვიყავი ამ ურთიერთობებისთვის და ყველა ის კარგი თვისება, რაც მათ გააჩნდათ, შევიძინე.

უმადური კაცი არა ვარ. განწყობა მაქვს ისეთი, რომ ყველაფრის მადლიერი უნდა ვიყო და ამიტომ ოჯახით და პირადი ცხოვრებითაც კმაყოფილი ვარ.

რაც შეეხება იმას, შედგა თუ არა ჩემი ცხოვრება, გეტყვით, რომ მქონია წლები, როცა არაფერი შემიქმნია, მაგრამ სინამდვილეში ამ ცარიელ წლებს მეტი ენერგია მოუცია, რომ მერე ნაყოფიერად მემუშავა. ადრე აზრადაც არ მომსვლია, რომ ასეთი მნიშვნელობის ჟურნალებში გამოქვეყნდებოდა ჩემი შრომები და ამ შრომების ინიციატორი მე ვიქნებოდი. ამდენად — მე ჩემი ოცნების მაქსიმუმი შევასრულე.

# პოლონური მოტივები — (ისტორია და თანამედროვეობა)

*8 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა II სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია — „პოლონური მოტივები — ისტორია და თანამედროვეობა".*

*კონფერენციაში სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ პოლონეთის ელჩი საქართველოში ურშულა დოროშევსკა, თსუ-ის რექტორის მოადგილე ავთანდილ ჩუთლაშვილი, თბილისში ვარშავის უნივერსიტეტის კავკასიური ცენტრის თავმჯდომარე ქრისტოფ ლუკიანოვიჩმა, კულტურულ საგანმანათლებლო კავშირის „პოლონიას" თავმჯდომარე, პროფესორი მარია ფილინა.*

**თამარ დადიანი**



კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრი, პოლონეთის საელჩო საქართველოში, თსუ-ის პოლონისტიკის ცენტრი და კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „პოლონია".

კონფერენციაზე მომხსენებლებმა პოლონეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ, ისტორიულ-კულტურულ საკითხებზე და პოლონურ-ქართულ ურთიერთობებზე ისაუბრეს. კონფერენცია სამ სექციად დაიყო და მასში 33 მომხსენებელი მონაწილეობდა.

„პოლონეთი ერთერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც საქართველოსთან საუკეთესო ურთიერთობები დაამყარა, რაც უკვე 20 წელია გრძელდება. ბოლო პერიოდში თანამშრომლობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. თსუ-ში ისწავლება პოლონეთის ისტორია, ენა და კულტურა. საქართველოდან სულ უფრო მეტი სტუდენტი მიდის პოლონეთში სასწავლებლად. ბოლო წლების მანძილზე, საერთაშორისო სარბიელზე პოლონეთი აქტიურ ლობირებას უწევდა საქართველოს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ ინტერესებსაც. სულ უფრო მეტად ვითარდება ქართულ-პოლონური თანამშრომლობა კულტურისა და განათლების სფეროებში", — განაცხადა პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ურშულა დოროშევსკამ.

„პოლონეთი საქართველოს ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია. სტუდენტების ინტერესი ძალიან დიდია პოლონური კულტურის, მიმართ. ყველა საკითხი, რომელიც კონფერენციაზე განიხილება, ქართული საზოგადოების ცოდნის გაღრმავებას უზრუნველყოფს. ქართულ-პოლონური ურთიერთობები მხოლოდ 20 წელს არ მოიცავს, ის უფრო სიღრმისეულია. აღსანიშნავია, რომ ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიური ხდება და ახალ ეტაპზე გადადის", — აღნიშნა ქრისტოფ ლუკიანოვიჩმა.

პოლონეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ ასპექტებსა და ძირითად მიმართულებებზე ისაუბრეს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა ქეთევან ქართველიშვილმა და ნინო ძამუკაშვილმა. საინტერესოდ განიხილეს პოლონეთსა და რუსეთს შორის ენერგოპოლიტიკური საკითხები.

„პოლონეთი დღეს კარგად ახერხებს რეგიონში მნიშვნელოვანი პოზიციის დაკავებას და თავისი საგარეო პოლიტიკის გადანაწილებას დიდ მოთამაშეებს შორის. პოლონეთის ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკური მიმართულებებიდან უნდა აღინიშნოს მისი როლი ევროკავშირში, განსაკუთრებით კი პოლონეთის მიერვე ინიცირებულ „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში", რაც პოლონეთს საშუალებას აძლევს განახორციელოს თავისი აღმოსავლეთის პოლიტიკა. გარდა ამისა, პოლონეთისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანაა ნატოში პოზიციების გამყარება, რომელსაც ის ევროპული და გლობალური უსაფრთხოების მთავარ ფაქტორად მიიჩნევს და ფართო მხარდაჭერას უცხადებს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის, ასევე, უკრაინისა და საქართველოს ალიანსში ინტეგრაციას და, ზოგადად, დასავლეთთან დაახლოებას. პოლონეთი ყოველთვის მხარს უჭერდა ყოველგვარ ამერიკულ ინიციატივას. ამერიკა კვლავ რჩება მის სტრატეგიულ პარტნიორად, თუმცა აშშ-ს ენთუზიაზმი პოლონეთის მიმართ დიდი არ არის", — განაცხადა ნინო ძამუკაშვილმა.

პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობები მიმოიხილა სოციალურ და პოლიტიკური ფაკულტეტის სტუდენტმა სალომე სალაძემ მოხსენებაში „პოლონეთის მხარდაჭერა საქართველოს". თემის ძირითად ობიექტს წარმოადგენდა პოლონურ-ქართული ურთიერთობები და კონკრეტულად საქართველოსადმი მხარდაჭერა, რომელსაც წლების მანძილზე გრძნობდა ქართული საზოგადოება.

„არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ პოლონეთი ყოველთვის ლობირებს საქართველოს და გამოთქვამს მხარდაჭერას ჩვენი ქვეყნის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ის ფინანსური დახმარებაც, რომელიც პოლონეთმა საქართველოს გაუწია, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ", — აღნიშნა მან.

პოლონეთში ქართველი ემიგრანტების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საინტერესო მოხსენება წაიკითხა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა თეონა ხუბუტიამ: „აღსანიშნავია, რომ ქართველი ლტოლვილები პოლონეთში არ განიხილებოდნენ ტიპიურ ემიგრანტებად. ისინი პოლონური საზოგადოების ნაწილად იქცნენ. როგორც დიმიტრი თაბუკაშვილი (ერთერთი იუნკერი) თავის მოგონებებში წერს „პოლონელებმა ქართველები მიგვიღეს როგორც ძმები და თანასწორნი. მათ მოგვცეს საშუალება ერთგულად გვემსახურა პოლონურ არმიაში, რისი მეშვეობითაც ჩვენ თავს ემიგრანტებად კი არა, მოწვეულ სამხედრო ოფიცრებად ვგრძნობდით".

ქართველი მხედრები პოლონეთის მთავრობისა და საზოგადოების ყურადღებით გარემოცულნი ერთგულად ემსახურებოდნენ მეორე სამშობლოდ ქცეულ ქვეყანას.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. ამ ომში პოლონელების მხარდამხარ ქართველ მეომრებსაც აღმოაჩნდით, რომლებიც პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. რა თქმა უნდა, რომ პოლონეთის მხარეს ისინი ომში არ გაუწვევია, მაგრამ ქართველები მოხალისეებად ჩაეწერნენ დამცველთა რიგებში, რათა ასე მაინც გადაეხადათ მადლობა ქვეყნისთვის, რომელმაც ისინი შეიფარა და უპატრონა.

კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „პოლონიას" თავმჯდომარემ მარია ფილინამ სტუდენტების მომზადების დონეს მაღალი შეფასება მისცა: „სტუდენტების ინტერესი პოლონეთის მიმართ საგრძნობლად გაზრდილია. მათი ასეთი დაინტერესება ორი ქვეყნის აქტიური თანამშრომლობის შედეგია, რომელიც ახალგაზრდებშიც პოულობს გამოხატულებას. მათ სურვილი უჩნდებათ, უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობები".

საქართველო-პოლონეთის ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობები 2006 წლიდან მკვეთრად გააქტიურდა. პოლონეთი საქართველოსადმი კეთილგანწყობილი ქვეყნიდან ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ მოკავშირედ იქცა. თავის მხრივ, საქართველომაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პოლონეთის საგარეო პოლიტიკაში. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2006 წელს პოლონეთის მთავრობამ საგარეო პოლიტიკის ერთერთ პრიორიტეტად საქართველოსთან ურთიერთობები გამოაცხადა.

# რუსული იმპერიალიზმი და საქართველო

## ეროვნული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

**ნატო ოზოლაძე**



საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 94 წლისთავთან დაკავშირებით თსუ-ში ეროვნული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „რუსული იმპერიალიზმი და საქართველო" გაიმართა. სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები რუსეთის იმპერიის 200 წლიან ბატონობის, მისი კოლონიური პოლიტიკის, ქართველი ერის ნაციონალური თვითმყოფადობის გაქრობა-ასიმილაციის მცდელობის დეტალებს ასახავდა. სტუდენტთა კვლევები იმ ისტორიულ დეტალებსაც მოიცავდა, რომელიც თანამედროვე ქართველი საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი. მაგალითად, ასეთი გახლდათ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის მაგისტრანტის თამარ სიდამონიძის ნაშრომი „ნოე რამიშვილი — ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის".

„საქართველოში ნოე რამიშვილის მოღვაწეობის შესახებ მცირე ინფორმაცია არსებობს და ისიც სხვადასხვა პრესასა თუ წიგნებშია გაფანტული. ვცდილობ, რომ ერთი მონოგრაფიის სახით წარმოვადგინო ამ პიროვნების ცხოვრება. ჩემ მიერ მოპოვებულმა მასალებმა საშუალება მომცა მეთქვა, რომ ნოე რამიშვილის მოღვაწეობა გარკვეულწილად ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლასთან არის დაკავშირებული. ამდენად მის შესახებ ახალი ინფორმაციის დაწერა არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის არის მნიშვნელოვანი. ნოე რამიშვილის სახით ქართველ ხალხს გამორჩეული პიროვნება ჰყავს, რომლის ღვაწლიც ჯერაც დაუფასებელია. თუ საშუალება მომეცემა, რომ ჩემი მუშაობა დოქტორანტურაშიც განვაგრძო, ვეცდები, პატარა მონოგრაფიის ნაცვლად, მას ვრცელი ნაშრომი მივუძღვნა", — აღნიშნა თამარ სიდამონიძემ.

სტუდენტური კონფერენცია ინტერდისციპლინარული შინაარსის გახლდათ. რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა საქართველოში სამართლის, ისტორიის, რელიგიის, ჟურნალისტიკის, სამხედრო მიმართულებებით იყო განიხილული. ღონისძიებაზე სულ 9 ნაშრომი წარმოადგინეს, მათ შორის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტის ელენე გელაშვილის — „საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919-1921 წწ", ამავე ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტის ანა კვიჟინაძის — „გამოწვევა-პასუხი", იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტის გიორგი ფარულავას — „მოქალაქეთა არჩევნებში ჩართულობის პრობლემატიკა", ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტის გვანცა ყაყიტაშვილის — „მეფისნაცვლის ინსტიტუტი", სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტების თამარ ქუმსიაშვილისა და ანა მიქაუტაძის — „ანტიიმპერიული ნარატივი XIX საუკუნის I ნახევრის ქართულ ჟურნალისტიკაში", ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის მაგისტრანტის ზაზა ცინაძის — „საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი (არჩევნები, უფლება-მოვალეობანი)", ამავე ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტის — „ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის ღვაწლი იდენტობრივი მახასიათებლების დაცვაში".

კონფერენციაში მონაწილეობდა საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრანტი გიორგი ბერიძე. მან ის სამეცნიერო-პოპულარული სამხედრო შინაარსის ლიტერატურა განიხილა, რომელთა გამოცემაც რუსეთსა და სომხეთში მიმდინარეობს.

„ჩემს თემას ჰქვია „ოკუპაცია გრძელდება". რუსეთსა და სომხეთში მიმდინარეობს ლიტერატურის გამოცემა, რომელშიც გარკვეული ფაქტები დამახინჯებულია. ამჟამად რუსეთი ჩვენი სამხედრო ისტორიის ოკუპაციას ახდენს. მიდის შეგნებული პროპაგანდა. სომხეთში გამოიცა სომხეთის სამხედრო ენციკლოპედია, სადაც არასწორი ინფორმაციაა შესული და ამ ფაქტის უყურადღებოდ დატოვება ჩვენი ერის ღალატი იქნება. მიხარია, რომ ასეთი სახის კონფერენცია გაიმართა, მაგრამ მიმაჩნია, რომ იგი უფრო ფართო მასშტაბის უნდა ყოფილიყო. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია ჩვენი ისტორიის ნაწილია და თუნდაც იმის გამო უნდა დავუთმოთ დიდი ყურადღება, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს", — გვითხრა გიორგი ბერიძემ.

ეროვნულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე „რუსული იმპერიალიზმი და საქართველო" წარმოდგენილი კვლევები სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა დიმიტრი შველიძემ, ბონდო კუპატაძემ, მარიამ ჩხარტიშვილმა და ვაჟა კიკნაძემ შეარჩიეს. ღონისძიების ინიციატორები და ორგანიზატორები კი საქართველოს ისტორიის პროგრამის მაგისტრანტები ელენე გელაშვილი და მაკა ხუციშვილი გახლდნენ.

„კარგი ინიციატივა წამოვიდა ჩვენი საქართველოს ისტორიის მიმართულების მაგისტრატებისგან. ყველა სტუდენტი რაღაც კონკრეტულ საკითხზე მუშაობს, ამგვარი კონფერენციები სამენციერო-კვლევითი ინფორმაციის გაზიარებას უწყობს ხელს. ძალიან საინტერესო მოხსენებები მოვისმინეთ. მომავალ წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მრგვალი თარიღია, სრულდება 95 წელი. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ უფრო მასშტაბური ღონისძიებები დაიგეგმება და სტუდენტების უფრო ფართო სპექტრი მიიღებს მონაწილეობას", — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ბონდო კუპატაძემ.

ეროვნული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის „რუსული იმპერიალიზმი და საქართველო" სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა ბოლო წლებში სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით დაინტერესების ტენდენციასაც ხაზი გაუსვეს.

„ბოლო 20 წლის მანძილზე ხშირად საუბრობდნენ და სავსებით ობიექტურადაც, რომ სტუდენტების უმრავლესობამ სწავლას თავი მიანება, წიგნთან კავშირი გაწყვიტა. ამჯერად კი მე, როგორც პროფესორმა და პედაგოგმა მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო 4—5 წლის განმავლობაში კარგი თაობა წამოვიდა. ახალგაზრდების ინტერესი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მიმართ გაძლიერდა. ბაკალავრიატის III—IV კურსის სტუდენტები და მაგისტრანტები უკვე სერიოზულ თემებს ამუშავებენ. იკვლევენ საარქივო დოკუმენტებს, პრესას. აღსანიშნავია, რომ ეს სტუდენტური კონფერენციაც სტუდენტების ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა. მართალია, სხდომის თავმჯდომარე ვარ, მაგრამ ჩემი ჩართულობა კონფერენციის მომზადების პროცესში ძალიან მინიმალური იყო," — აღნიშნა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა დიმიტრი შველიძემ.

ეროვნული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „რუსული იმპერიალიზმი და საქართველო" 28 მაისს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით გაიმართა.

# „კავკასიის ეთნოლოგია“ და „საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია“

*თსუ-ის ეთნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორის როლანდ თოფჩიშვილის ორი წიგნი — „კავკასიის ეთნოლოგია“ და „საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია“ კარგი საჩუქარია, არამარტო სტუდენტებისთვის და სპეციალისტებისთვის, არამედ ყველა ქართველისთვის, ვისაც თავისი ქვეყნის ისტორია აინტერესებს.*

**შურთხია ბეროშვილი**

საქართველოს მომავალი განვითარებისთვის კავკასიისა და კავკასიელების შესახებ ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს. საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანეს მულტიეთნიკურ რეგიონში ადგილობრივი და შორეული გეოგრაფიული რეგიონებიდან მოსული ხალხები ეთნიკური ნიშნის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. წიგნი „კავკასიის ეთნოლოგია“ კავკასიელი ხალხის ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიის და მრავალფეროვანი ეთნიკური კულტურების შესახებ მოგვითხრობს.

ახალი სახელმძღვანელო 2007 წელს გამოცემული „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის“ სალექციო კურსის შევსებული და გადამუშავებული ვარიანტია. წიგნზე მუშაობისას ავტორს მრავალრიცხოვანი ლიტერატურის გადამუშავება მოუხდა, მაგალითად, ხელახლა გამოიცა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში დაბეჭდილი ლიტერატურა და წყაროები. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში დიდი ადგილი დაეთმო ქართველთა ეთნიკურ ისტორიასა და ეთნიკურ კულტურას.

„მსოფლიო სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში, კონფლიქტური სიტუაციის გამო, კავკასიისადმი ინტერესი, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა პერიოდში გაიზარდა. კავკასიაში კონფლიქტების გაჩაღებაში ლომის წილი რუსეთს მიუძღვის, რომელსაც ხალხთა დაპირისპირებით არსებული მდგომარეობის შენარჩუნება სურს. კავკასიის ხალხების ისტორია ყველაზე მეტად რუსეთში იწერებოდა. დღესაც ასეა, სამწუხაროდ, რუსეთში კავკასიის შესახებ დასტამბული ლიტერატურის დიდი ნაწილი ქართველი ხალხისთვის მიუწვდომელია“, — აღნიშნავს წიგნზე საუბრისას როლანდ თოფჩიშვილი.

1970-იანი წლების შემდგომი პერიოდის კავკასიაში ეთნოდემოგრაფიულ პროცესებს სამეცნიერო ლიტერატურაში დერუსიფიკაციის პროცესს უწოდებენ. თუ როგორ განვითარდება შემდგომში მოვლენები კავკასიაში ეთნოპოლიტიკური, ეთნოსოციალური, ეთნოდემოგრაფიული თვალსაზრისით, ამის განჭვრეტა ერთობ ძნელია. ამ მიზნით გარკვეული მნიშვნელობა აქვს კავკასიის ხალხების წარსულის, ეთნიკური ისტორიის, ეთნიკური კულტურის შესწავლას, და საერთოდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნაშრომებს, რომელსაც ეს წიგნი ეძღვნება. წიგნში მიმოხილული ყველა ეთნოსი ჩვენი მეზობელია. საუკუნეების მანძილზე საქართველოს და ქართველ ხალხს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა კავკასიის ხალხებთან და მომავალშიც ასევე გააგრძელებს.

მეცნიერის აზრით, კავკასიაში განვითარებული ეთნოდემოგრაფიული პროცესები ქართველებსაც ღრმად ჩააფიქრებს. საქართველო დეპოპულაციის საშიშროების წინაშე დგას. მრავალ ქართულ სოფელს გაქრობა ელის. საქართველოს მთელი რიგი მხარეებიდან ახალგაზრდები ემიგრირებულნი და კონცენტრირებულნი არიან თბილისში, ან უცხოეთის სხვადასხვა ქალაქებში, ნელ-ნელა ისპობა მეურნეობის ტრადიციული დარგებიც.

ავტორი კიდევ ერთ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას: „დღეს დასავლელ მეცნიერთა გარკვეულ წრეებში ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულებაა ეთნოსებისა და ეთნიკური კულტურების შესწავლის მიმართ. მათი გარკვეული ნაწილი არა ეთნოსისა და ეთნიკურ შესწავლას ანიჭებს უპირატესობას, არამედ ცალკეულ საზოგადოებებს, რელიგიურ-კონფესიურ ჯგუფებს. არადა, ეთნოსების არსებობა – ფაქტია. კავკასიის მულტიეთნიკურობა და კულტურული მოზაიკა მუდმივად განაპირობებდა იქ მცხოვრები ხალხების ურთიერთობებს. მავანთა ინტერესში ამ ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების გაქრობა შედის. ანალოგიური ინტერესი ჰქონდა ცარიზმსაც და ბოლშევიკებსაც. ეთნოსებისა და ეთნიკურ კულტურათა არსებობა კი რეალური ფაქტია. ეთნოსთა ურთიერთშეჯიბრი და ეთნიკურ კულტურათა ურთიერთობა განაპირობებდა საზოგადოების პროგრესს, კულტურულ სიმდიდრეს. ეს კავკასიელთა მაგალითზეც დასტურდება, რომელთა ეთნოგენეზი, ეთნიკური ისტორია და ეთნიკური კულტურა ამ სახელმძღვანელოშია გადმოცემული“.

სახელმძღვანელო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ კავკასიის ეთნოლოგიის შესწავლა ყველა ქართველს წაადგება, მით უფრო დღეს, როდესაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა კავკასიელი ხალხების წარსულის, ყოფა-ცხოვრების ტრადიციებისა და ენების შესწავლა.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოში შეტანილია თსუ-ის მაგისტრანტების: გიორგი ავთანდილაშვილის, გიორგი მეურმიშვილის და გიორგი ჭეიშვილის ნაშრომები. როგორც როლანდ თოფჩიშვილი აცხადებს, სტუდენტებს საშუალება მიეცათ ჩართულიყვნენ კვლევაში, რაც მათთვის დიდი სტიმული იყო. „ამ სტუდენტებმა სწავლაში თავი გამოიჩინეს, ამიტომ მინდოდა, ისინი წამეხალისებინა, მათთან მუშაობა საინტერესო იყო, რა თქმა უნდა, მუშაობის პროცესში კონსულტაციები დასჭირდათ, მაგრამ მოცემულ დავალებას კარგად გაართვეს თავი. გიორგი ავთანდილაშვილს ეკუთვნის ნარკვევები ლაიჯების, ჰემშილების, ჩერქეზოჰაიების, უბიხებისა და ქართველი ებრაელების შესახებ, გიორგი მეურმიშვილს — საქართველოში მკვიდრი ლეკების შესახებ, გიორგი ჭეიშვილს — პანკისელ ქისტებზე.

რაც შეეხება სახელმძღვანელოში ჩართულ კავკასიის ეთნიკურ რუკას მისი ავტორი პროფესორი გიორგი ჟუჟუნაშვილია“, — აღნიშნა როლანდ თოფჩიშვილმა.

ავტორი მიიჩნევს, რომ ამ წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვეობისთვის, რადგან



როლანდ თოფჩიშვილი

საჭიროა, კარგად გავიაზროთ კავკასიის პრობლემები. არამარტო მკვლევარებმა, არამედ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა პროცესიები იყო და არის კავკასიაში, რა ურთიერთობაში იყვნენ და არიან ეს ხალხები ჩვენთან, რადგან ამას ჩვენი მომავლისათვის და ჩვენი სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

როლანდ თოფჩიშვილი აღნიშნავს, რომ დიდად არის დავალებული უაღრესად განათლებული და ფართო დიაპაზონის მქონე, აწ გარდაცვლილი მეცნიერისგან — მიხეილ ქურდიანისგან. „მიხეილ ქურდიანს ფეხით ჰქონდა შემოვლილი კავკასიის როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი და თითქმის „ხელი ჰქონდა შეხებული“ კავკასიელთა ტრადიციებისთვის. 2007 წელს გამოცემულ „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის“ სალექციო კურსის ეგზემპლარს სათუთად ვინახავ, რომელზედაც ბატონი მიხეილის სათანადო შენიშვნები და სურვილებია მიწერილი., რომლებიც წინამდებარე სახელმძღვანელოში სათანადოდ გავითვალისწინე. წიგნს მის ნათელ ხსოვნას ვუძღვნი“, — ამბობს როლანდ თოფჩიშვილი.

საინტერესო ინფორმაციას შეიცავს პროფესორ როლანდ თოფჩიშვილის ავტორობით გამოცემული მეორე წიგნი „საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია“, სადაც გადმოცემულია ისტორიული საქართველოს პრივილეგირებული ფენის — თავადაზნაურული გვარების ისტორია. წიგნი განკუთვნილია, როგორ მეცნიერ-მკვლევარების, ისე მკითხველთა ფართო წრისთვის.

„ქართველ მკითხველს ყოველთვის აინტერესებდა როგორც საკუთარი, ისე სხვათა გვარების ისტორია. საქართველოს თავად-აზნაურული გვარების ისტორიისადმი ინტერესს ჯერ კიდევ XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში იჩენდნენ. მაგალითისთვის ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების და დავით ციციშვილის დასახელებაც კმარა. წიგნში 1165 გვარის ისტორიაა მოთხრობილი. ბუნებრივია, საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე თავად-აზნაურული გვარები უფრო მეტი იქნებოდა, თუმცა, ამჯერად დოკუმენტები და წყაროები მეტის გამომზეურების საშუალებას არ გვაძლევს, რაც ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიის შედეგია. შევეცადეთ ამ გვარების შესახებ არსებული საისტორიო საბუთები, წყაროები მაქსიმალურად გამოგვეყენებინა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გვარის ისტორიები ამომწურავად არის მოცემული. საამისოდ ჯერ კიდევ ბევრი საარქივო მასალაა გამოსააშკარავებელი“, — ამბობს როლანდ თოფჩიშვილი.

მისი ინფორმაციით, წიგნში შეტანილი ზოგიერთი გვარი შეიძლება მკითხველმა პირველად გაიგოს, რადგან საუკუნეების განმავლობაში ბევრი თავად-აზნაურული გვარი გაქრა — ზოგმა ერთი საუკუნე იარსება, ზოგმა ხუთი და ა. შ. ამ წიგნში ზოგიერთი გვარის ისტორიას რამდენიმე გვერდი აქვს დათმობილი, ზოგს კი რამდენიმე წინადადება, იმის მიხედვით, რისი საშუალებაც მისცა მკვლევარს საარქივო მასალებმა.

„ყველა გვარის ისტორია უნიკალურია და საინტერესო. ეს გვარები ქართულ საისტორიო წყაროებისა და საარქივო მასალის საშუალებით მოვიძიე. კრებულში ბევრი ცნობილი გვარია შეტანილი, ზოგიერთი კი შეიძლება მკითხველმა პირველად გაიგოს. აღსანიშნავია, რომ ბევრი თავად-აზნაურული გვარი გაქრა საუკუნეების განმავლობაში. მაგრამ გვარების ძირითადი ნაწილი, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდნენ, როგორც თავადაზნაურული გვარები, დღევანდლამდე მოაღწიეს“, — აღნიშნა როლანდ თოფჩიშვილმა.

მეცნიერი მხოლოდ თავად-აზნაურული გვარების შესწავლით არ შემოიფარგლება, მას აღმოსავლეთ საქართველოს გვარ-სახელების ისტორიაზე რამდენიმე ნაშრომი უკვე დაწერილი აქვს, რომელსაც მომავალში წიგნად გამოსცემს. „ქართული გვარების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ გამოკვლევას და შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ისტორიულ ეთნოლოგიური თვალსაზრისითაც. გვარების სადაურობა-წარმომავლობის შესახებ ბევრი მასალა დამიგროვდა, დღესაც ვაგრძელებ ამ საკითხზე მუშაობას და მინდა მომავალში წიგნად გამოვცე. სასიამოვნოა, რომ ადამიანებს უჩნდებათ სურვილი თავიანთი გვარის ისტორია იცოდნენ და თაობებს გადასცენ, თუმცა ეს ძალიან რთულია, საისტორიო წყაროებშიც ქართული გვარ-სახელების ისტორიის მხოლოდ 7%-ია დაფიქსირებული. ზოგადად, ამ კუთხით ჯერ კიდევ ბევრია საკვლევი და შესასწავლი“, — ამბობს როლანდ თოფჩიშვილი.

მეცნიერი დადებითად აფასებს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორეს ინიციატივას გვარების დალოცვასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ ამ ტრადიციის დამკვიდრება ხელს შეუწყობს გვარის წარმომადგენელთა დაახლოებას“, — ამბობს მეცნიერი.

# დანაშაულთა გახსნის ტექნიკა

**თამარ დადიანი**

21 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამართლის დოქტორის ნინო გოგნიაშვილის წიგნის „კრიმინალისტიკა“ პრეზენტაცია.

წიგნი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების, ექსპერტ-კრიმინალისტებისა და პოლიციის აკადემიის მსმენელთათვის. ამავე დროს, ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს ოპერატიული სამსახურის მუშაკებს, გამომძიებლებს, პროკურორებს, მოსამართლეებს, ადვოკატებსა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

ნაშრომი კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს პირველი ფერადი გამოცემაა. წიგნში ახლებურადაა წარმოდგენილი კრიმინალისტიკური ტექნიკის ნაწილი, სადაც განხილულია ის თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, რომელთა გამოყენების წესი, მეთოდები და ხერხები ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის საქმეების სწორად და კვალიფიციურად გამოძიებას.



ნაშრომში დეტალურადაა განხილული: შემთხვევის ადგილის დათვალიერება და მისი სწორად დაგეგმვის საჭირო ძირითადი გარემოებები; დნმ-ის, ხელის, ფეხის, კბილის, სისხლის, თმისა და სხვა მნიშვნელოვანი სახის კვალთა აღმოჩენა-ამოღების, ფიქსაციისა და გამოკვლევისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებები; ასევე, ფონოსკოპიური გამოკვლევის, დოკუმენტების კრიმინალისტიკური გამოკვლევისა და ბალისტიკური ექსპერტიზისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი მეთოდები და ხერხები.

„ერასმუს-მუნდუსის პროგრამით ვიმყოფებოდი იტალიაში ტუშასა და ლა'საპიენცას უნივერსიტეტებში, სადაც გავეცანი კრიმინალისტიკის სწავლების მეთოდებსა და არაერთ სახელმძღვანელოს. სწორედ იქ ვიმუშავე აღნიშნული ნაშრომის დიდ ნაწილზე. მასში განხილული საკითხები აქტუალურია თავისი დანიშნულებითა და იურიდიული ბუნებით, ვინაიდან დამნაშავეობასთან ბრძოლა, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა არის სახელმწიფოს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის უმთავრესი მიმართულება. წიგნი წინამდებარე სახელმძღვანელოებისგან იმით განსხვავდება, რომ მასში განხილულია თანამედროვე ტექნიკური მეცნიერების მიღწევის საფუძველზე შექმნილი ისეთი საშუალებები, ტაქტიკური ხერხები და გამოძიების მეთოდები, რომელთა თანამიმდევრული გამოყენებაც უზრუნველყოფს დანაშაულის გამოძიებასა და გახსნას'', — განაცხადა ჩვენთან საუბარში წიგნის ავტორმა, სამართლის დოქტორმა ნინო გოგნიაშვილმა.

თანამედროვე სასწავლო სახელმძღვანელოს შექმნას თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდულიც გამოეხმაურა: „ეს წიგნი არის პირველი სერიოზული მცდელობა თანამედროვე კრიმინალისტიკაში. კრიმინალისტიკა ერთერთი არჩევითი საგანია, თუმცა სემესტრი ისე არ გადის, რომ ასობით სტუდენტმა არ გამოთქვას მისი შესწავლის სურვილი. სტუდენტთა აზრის გათვალისწინებით მოლაპარაკება ვაწარმოვეთ ამერიკის საელჩოსთან ორ საკითხზე: აუცილებლად გვჭირდება იმიტირებული სასამართლო დარბაზი და, ასევე, კრიმინალისტიკის თანამედროვე სასწავლო ლაბორატორია“, — განაცხადა ირაკლი ბურდულმა.



ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსმა, გენეტიკისა და ბიომოლეკულურ მეცნიერებათა დოქტორმა ნინო ყოჩიაშვილმა და კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა მზია ლეკვეიშვილმა ახალგაზრდა მეცნიერს წარმატება მიულოცეს და მის აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაზეც ისაუბრეს. ნინო ყოჩიაშვილმა იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციას უფრო აქტიური თანამშრომლობისაკენ მოუწოდა, რის შესაძლებლობასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის გაფორმებული მემორანდუმიც იძლევა.

პრეზენტაციის ბოლოს წიგნის ავტორმა ნინო გოგნიაშვილმა მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისათვის იურიდიული ფაკულტეტის დეკანს ირაკლი ბურდულს და თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დავით ჩომახიძეს.

წიგნი თსუ-ის დაფინანსებით, თსუ-ის გამომცემლობაში დაიბეჭდა.

# რეზო ჩხეიძის შემოქმედებითი გამარჯვება

*ჩვენი დროის ქართული კინოს პატრიარქის, რეჟისორ რეზო ჩხეიძის ფილმები დღესაც ისეთივე პოპულარულია, როგორც მაშინ, როდესაც მაყურებელმა პირველად იხილა ეკრანზე მისი „ჯარისკაცის მამა“, „ჩვენი ეზო“, დონ-კიხოტი“, „ნერგები“ და სხვა. რეჟისორის მოღვაწეობას უკავშირდება ახალი ფენომენის „ქართული კინოს“ დაბადება და წარმატება საერთაშორისო არენაზე.*

*ამ წლების განმავლობაში რეზო ჩხეიძეს ბევრი მოგონება დაუგროვდა, რომელიც საინტერესოა იმ ეპოქის გაცნობის თვალსაზრისითაც, რომელშიც მას მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა.*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე სტუდენტები 85 წლის რეჟისორს ტაშით შეეგებნენ. შეხვედრა დაიწყო რეზო ჩხეიძეზე გადაღებული დოკუმენტური ფილმით, რომლის დასრულების შემდეგ რეჟისორმა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპები გაიხსენა და ახალგაზრდების კითხვებს უპასუხა.*



**შურთხია ბეროშვილი**

რთული და საინტერესო იყო რეჟისორის ცხოვრება. ქუთაისში დაიბადა და გაიზარდა, სახელოვანი მშობლები ჰყავდა: მამა მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელი, მწერალი და დრამატურგი, ამავე დროს, პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის მოადგილე იყო, დედა — ისტორიკოსი.

ბედნიერი ბავშვობა მალე დამთავრდა... 1937 წელს მამა დააპატიმრეს, ოჯახი კი სახლ-კარის გარეშე დატოვეს. თუმცა, იმ მძიმე დროშიც კი, გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად ოჯახი გადაარჩინეს. სწორედ მაშინ მიხვდა, რომ თვითონაც ასე უნდა ეცხოვრა.

„როდესაც ჩეკისტებმა მამა წაიყვანეს, დედას 26 მანეთი დაუტოვა სამი შვილის „სარჩენად“... ეს იყო საშინელი წლები. ადამიანები ქუჩაში თვალს გვარიდებდნენ და ვერ კი გვესალმებოდნენ.

დედა სტუდენტი იყო, ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ უნდა გვეცხოვრა. ჩვენ სკოლაში წასვლისაც კი გვეშინოდა, მაგრამ მან მაინც გაგვაგზავნა. პირველივე დღეს დირექტორმა დამიბარა, აკანკალებული შევედი კაბინეტში. ქალბატონი წამოდგა, გულში ჩამიკრა, ატირდა და მითხრა: — არაფრის შეგეშინდეს, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებო.

რამდენიმე დღის შემდეგ სახლიდანაც გამოგვასახლეს. ქუჩაში სამი უმწეო ადამიანი ვიდექით და არ ვიცოდით, სად წავსულიყავით... ამ დროს ჩვენმა შორეულმა ნათესავმა გამოიარა (დღესაც არ ვიცი, გაიგო, რაც ხდებოდა, თუ შემთხვევით გადაგვეყარა) და თავისთან წაგვიყვანა. თითქმის უცნობი კაცის ოჯახში გადავიტანეთ ზამთარი. მახსოვს, თუჯის „ღუმელი“ ჰქონდა, რომელსაც დანაღვლიანებულები შემოვუსხდებოდით ხოლმე, ის კი ჩვენს გართობას ცდილობდა.... ასეთი საოცარი ამბები ხშირად ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში. ისიც კარგად მახსოვს, როგორ მოდიოდა კვირაში ერთხელ ჩვენთან შავებში ჩაცმული ქალი, რომელსაც ციხიდან მამის გამოგზავნილი წერილები მოჰქონდა; უხმოდ მიდი-მოდიოდა; ხმის გაცემისაც კი ეშინოდა; დღესაც არ ვიცი, ვინ იყო და რატომ რისკავდა; ვიცოდით ერთი რამ მხოლოდ — ეს რომ გაეგოთ, შეიძლება, ტყვიაც კი მიეღო შუბლში. ასე რომ, იმ ულმობელ დროშიც სიკეთეს ყოველ ნაბიჯზე მაინც ვაწყდებოდი — ეტყობა, მამის მადლი თან მდევდა. ამიტომ, რამდენადაც შემეძლო, მეც ყოველთვის ვცდილობდი, დავხმარებოდი ადამიანებს, თუმცა ამით არასდროს მიტრაბახია. თქვენც გირჩევთ, მხოლოდ სიკეთე აკეთოთ“, — მიმართა რეჟისორმა ახალგაზრდებს.

კეთილი ადამიანები მოსკოვშიც შეხვდნენ რეზო ჩხეიძეს, როდესაც კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სასწავლებლად ჩავიდა. დეკანის მოადგილემ დაიბარა და ის ანკეტა დახია, სადაც ეწერა, რომ მამა დახვრეტილი ჰყავდა და ახალი ანკეტა შეავსებინა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი თავის მეგობრებთან — თენგიზ აბულაძესთან, ალექსანდრე რეხვიაშვილთან და სულიკო ჟღენტთან ერთად დაბრუნდა თბილისში და დაიწყო მოღვაწეობა.

რეზო ჩხეიძე კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ 37 წელი ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ახალი ფენომენის — „ქართული ფილმის” დაბადება და წარმატება. მიუხედავად საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმისა, სწორედ მაშინ შეიქმნა ყველასთვის საყვარელი ფილმები... ცნობილ რეჟისორებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ კინოსტუდიის მაშინდელი ხელმძღვანელი ყველას ხელს უწყობდა, მატერიალურადაც კი ეხმარებოდა და მათი წარმატება გულწრფელად უხაროდა.

„ქართულ ფილმს“ ხანგრძლივი დროის მანძილზე ვხელმძღვანელობდი და ამიტომ ბევრი საინტერესო მოგონება მაქვს — როგორ იბადებოდა ის ქართული ფილმები, რომლებმაც საერთაშორისო მასშტაბით ასეთი წარმატება მოიპოვეს. ვფიქრობ, იმ პერიოდში ქართულმა კინომ თავისი სათქმელი თქვა. თუმცა, დღეს სხვა მდგომარეობაა. ამას წინათ რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრმა მკითხა: — რა მოგივიდათ ქართველებს? ჩვენ ვიცნობდით ფრანგულ, იტალიურ და ქართულ კინოს და ახლა რა ხდებაო? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს. ხანდახან მიზეზად იმას ასახელებენ, რომ წამყვანი რეჟისორები აღარ არიან, ახალ თაობაში კი ნიჭიერი ხალხი არ ჩანს. ჩემი აზრით, ეს სიმართლე არ არის. ჩვენს გვერდით აღარ არიან ისეთი დიდი ოსტატები, როგორებიც იყვნენ თენგიზ აბულაძე, სულიკო ჟღენტი (სცენარისტი), სერგო ფარაჯანოვი, მაგრამ სხვა ყველა ცოცხალია: ძმები შენგელაიები, მერაბ კოკოჩაშვილი, ლანა ღოღობერიძე, ნანა მჭედლიძე, საშა რეხვიაშვილი... მეც მაინტერესებს, რატომ აღარ იქმნება რაიმე ღირებული? ეს, მართლაც, დამაფიქრებელია. ხშირად იმიზეზებენ ფინანსებსაც, მაგრამ ამით თავს ვერ გავიმართლებთ. მაგალითად, დიდი ხანი არ არის, რაც დავამთავრე ფილმი — „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“, რომლის გადაღებები მიმდინარეობდა საქართველოში, რუსეთში, თურქეთში, პალესტინაში... გადაღება 2 მილიონ 300 ათასი ლარი დაჯდა — ეს ფილმისთვის დიდი თანხა არ არის. მახსოვს, საბჭოთა პერიოდში წელიწადში 20 ფილმს მაინც ვიღებდით; მაშინ თურმე აპარატურაც გვყოფნიდა და პავილიონიც; ხალხიც იყო. ალბათ, მეტი მონდომებაა საჭირო! ახლა ახალგაზრდებმა უნდა იაქტიურონ!“ — თქვა რეზო ჩხეიძემ.

რეჟისორმა თავის ფილმებზეც ისაუბრა და „აღიარა“, რომ „ჯარისკაცის მამა“ მისი საყვარელი ნამუშევარია და მისი შექმნის ისტორიაც გაიხსენა.

„როდესაც სულიკო ჟღენტმა სცენარი წამაკითხა, მაშინვე წარმოვიდგინე — რა უნდა გამეკეთებინა და ვის ვათამაშებდი მამის როლში. სერგო ზაქარიაძესთან საგრიმიოროში შევედი და ჩემი ჩანაფიქრი გავაცანი. როცა ბატონი სერგო გრიმს იკეთებდა, სხვა თემაზე არ დაგელაპარაკებოდა, მაგრამ მოვახერხე და დავაინტერესე. სცენარი იქვე წავუკითხე, ცრემლმორეული მისმენდა და როლზე იქვე დამთანხმდა. როდესაც ფილმმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, სერგო კი ხალხმა უფრო მეტად შეიყვარა, მივხვდით, რომ ეს მართლაც შემოქმედებითი გამარჯვება იყო“.

აღსანიშნავია, რომ ამერიკული კინოაკადემია, რომელიც შავ-თეთრ ფილმებს აფერადებს, ამჟამად ფილმით — „ჯარისკაცის მამა“ დაინტერესდა. შეხვედრაზე სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ საქართველოში პირველად ენახათ ფერადი ნაწყვეტები ამ ფილმიდან, რომელმაც მათი დიდი მოწონება დაიმსახურა. რეჟისორმა სიამოვნებით აღნიშნა, რომ მისი ფილმების პრემიერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადრეც იმართებოდა და ამიტომ ამ წინადადებას ახლაც სიამოვნებით დათანხმდა.

რეზო ჩხეიძესთან შეხვედრა, რომელიც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის თვითმმართველობის ინიციატივით გაიმართა, გვიანობამდე გაგრძელდა. სტუდენტებმა მხცოვანი რეჟისორი დარბაზიდან ტაშით გააცილეს...

# წარმატებული წელიწადი



მეტად წარმატებული გამოდგა თსუ-ის გუნდისთვის 4 ივნისის უნივერსიადა, რომელსაც მაღლივი კორპუსი მასპინძლობდა. თსუ-ის ათლეტებმა სხვადასხვა წონით კატეგორიაში 1 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ოქროს მედლის პრიზიორი გახდა კახაბერ თეთრაძე, ვერცხლის მედლები მოიპოვეს: ნიკოლოზ ბიბიაშვილმა, ვლადიმერ გოგოლიძემ და გიორგი ნებიერაძემ. ხოლო ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ მიხეილ მრელაშვილსა და დემურ ცაბაძეს.

„თსუ-ის ათლეტიზმის გუნდისათვის მიმდინარე წელი წარმატებული და ნაყოფიერი გამოდგა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ტურნირი მოვიგეთ. დღესაც სტაბილურად ვვარჯიშობთ მაღლივი კორპუსის სპორტდარბაზში და ვემზადებით შემდგომი ტურნირებისთვის. იმედია, ჩვენი გუნდი კიდევ ბევრჯერ გაახარებს გულშემატკივარს“, — განაცხადა თსუ-ის გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ჭავჭანიძემ.

18 მაისს საქართველოს პაუერლიფთინგის ფედერაციისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში, რომელშიც თსუ-ის სტუდენტებმაც მიიღეს მონაწილეობა. ასპარეზობა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში შედგა. I ადგილი (60 კგ. წონით კატეგორიაში) თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა ნიკა ბიბიაშვილმა მოიპოვა, II ადგილი (90 კგ. წონით კატეგორიაში) დაიკავა თსუ-ის სპორტკლუბის წევრმა ზურაბ თავართქილაძე, ხოლო III ადგილი (100 კგ. წონით კატეგორიაში) — ლევან გობეჩიამ.

26 მაისს „თბილავიამშენის“ დარბაზში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი საერთაშორისო ტურნირი ათლეტიზმში. სადაც თსუ-ის სპორტსმენებმა საუკეთესო შედეგები აჩვენეს შემდეგ კატეგორიებში: ძალისმიერ სამჭიდში, წოლჭიმში, ამოწევა და ბიცეპსებით წონის აწევაში. ჩვენმა ათლეტებმა 13 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს!

წოლჭიმში, სხვადასხვა წონით კატეგორიაში, ოქროს მედლის პრიზიორები გახდნენ: გიორგი ჯაფარიძე, შოთა ასათიანი, გიორგი მარღანია, კახაბერ თეთრაძე, კობა ჯავახიშვილი, თეიმურაზ ჭელიძე, გიორგი დვალი, ვასილ მინდორაშვილი, თორნიკე მინდიკაური, გიგა ხანიშვილი და ზურაბ ჭავჭანიძე. ვერცხლის მედლები მოიპოვეს: გიორგი ბაღანაშვილმა, ვლადიმერ გოგოლიძემ და გიორგი ნებიერაძემ, ხოლო ბრინჯაოს მედლების პრიზიორები გახდნენ დავით ჩითინაშვილი და დემურ ცაბაძე.

ამოწევაში თსუ-ის გუნდს (სხვადასხვა წონით კატეგორიაში) 2 ოქროს მედლის მფლობელი ყავს: თორნიკე მინდიკაური და ვლადიმერ გოგოლიძე, ხოლო ბიცეპსით წონის აწევაში, 75 კგ. წონით კატეგორიაში, II ადგილი მიხეილ მრელაშვილმა დაიკავა.

# თსუ-ის ფუტსალის გუნდი საქართველოს თასის მფლობელია

**თამარ დადიანი**

28 მაისს თსუ-მ ფინალში ანგარიშით 8:5 დაამარცხა „იბერია სტარი“.

ფინალური მატჩი კარგი საყურებელი გამოდგა. „იბერიამ“ პირველივე შეტევა გოლით დაასრულა, თუმცა საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ შორს იყო. სულ რამდენიმე წუთში თსუ-ის გუნდი დაწინაურდა 3:1. ამის შემდეგ მოწინააღმდეგე გუნდის წევრები გააქტიურდნენ და ანგარიში „იბერია სტარის“ სასარგებლოდ შეიცვალა – 5:3. მეორე ტაიმში თსუ-მ კიდევ 5 გოლი გაიტანა და თამაში, საბოლოოდ, 8:5 დასრულდა.

„იბერია სტარი“ უკვე 10 წელია საქართველოს ჩემპიონია, ხოლო ბოლო 9 წელი — საქართველოს თასის მფლობელი, ამიტომ ასეთი ღირსეული მეტოქის დამარცხება თსუ-ის გუნდისთვის საამაყოა.

„თსუ-ის ფუტსალის გუნდი 5 წელია არსებობს. თსუ-ის სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ირაკლი ხარჯავანიძის დამსახურებაა, რომ ტურნირზე წარმატებით ვიასპარეზეთ. ასევე დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ ადმინისტრაციის მხრიდან, რისთვისაც მადლობას ვუხდი რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს და დავით ჩომახიძეს. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს სტუდენტებს, რომლებიც ბოლომდე ჩვენი გულშემატკივარი იყო“, — განაცხადა გუნდის მწვრთნელმა ბესარიონ არველაძემ.



ბესარიონ არველაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდმა 2007-2008 წელს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა, ასევე პირველი ადგილი მოიპოვა 2008 წლის ზაფხულის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე. ამავე წელს გუნდმა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო 2009 წელს სტუდენტურ ლიგაში II ადგილი დაიკავა. თსუ-ის გუნდი 2010 წლის საქართველოს თასის ფინალისტი და ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. ბოლო ერთი წლის მანძილზე კი წარმატებით იასპარეზა შემდეგ ტურნირებზე: უნიბურთის სტუდენტურ ტურნირზე, სადაც ჩემპიონობა მოიპოვა, უნიბურთის თასის მფლობელიც გახდა და ზაზა ბენდელიანის ხსოვნის ტურნირიც მოიგო, „Friendly Cup“ თასიც აიღო და საქართველოს ჩემპიონატის II საპრიზო ადგილზეც გავიდა. გუნდის რამდენიმე წევრი საქართველოს ნაკრებშიც თამაშობს.

ამჟამად ჩვენი სპორტსმენები ევროპის უნივერსიადისთვის ემზადებიან, რომელიც ესპანეთში გაიმართება.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი შოთა თუთბერიძე
კომპ. უზრუნველყოფა ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, მარიამ გერსამია, თეა ჯუღელი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ა
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62